# რა წარსული აქვს ირაკლი შოთაძეს და რატომ

## რომელ „ბობოლა“ „ნაციონალს“ მიადგება, პირველ

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37





ახლად შექმნილმა საპროკურორო საბჭომ მთავარ პროკურორად ირაკლი შოთაძე აირჩია. ახლა ირაკლი შოთაძის კანდიდატურას პრემიერი ღარიბაშვილი წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად და უეჭველია, „ქართული ოცნება“ გრიალით დაამტკიცებს.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი იყო ფარსი და ამ სპექტაკლში მთავარ როლს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი თამაშობდა. სწორედ ის იდგა ავანსცენაზე. ეს „ქრონიკასთან“ საუბარში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ზაზა ხატიაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, როცა მთავარი პროკურორის კანდიდატურები არც იყო ცნობილი. ხატიაშვილი ერთი თვის წინ აცხადებდა, არჩევნებში თეა წულუკიანის, შესაბამისად, სახელისუფლებო ფავორიტი გაიმარჯვებსო და ასეც მოხდა. დიახ, წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რომ არჩევნები შოთაძეს უნდა მოეგო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შოთაძეს ხმა მისცა 8 პროკურორმა. სწორედ ამდენი კვოტა ჰქონდა პროკურატურას. ცხადია, მთავარი პროკურორის მოქმედი პირველი მოადგილის წინააღმდეგ, არც ერთი პროკურორი არ წავიდოდა. ახლა ვნახოთ, რას შეიძლება ველოდოთ ახალი მთავარი პროკურორისგან. ჯერ დავიწყოთ ოფიციალური ინფორმაციებით.

### ირაკლი შოთაძის ოფიციალური დოსიე

დაიბადა 1983 წლის 7 აგვისტოს. 2005 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

საქართველოს პროკურატურაში კარიერა დაიწყო 2006 წლის მარტიდან და 2010 წლის სექტემბრამდე შრომით საქმიანობას ეწეოდა შემდეგ თანამდებობებზე.

07.03.2006-03.04.2006 წწ. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტად; 03.04.2006-02.06.2006 წწ. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასჯელის მოხდის კანონიერებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის სტაჟიორად; 02.06.2006-04.10.2006 წწ. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სტაჟიორად; 04.10.2006-28.07.2009 წწ. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორად; 28.07.2009-10.09.2010 წწ. საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორად. 2010 წლის სექტემბერში მან კარიერა განაგრძო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში და 2013 წლის 21 ნოემბრამდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, კერძოდ: 10.09.2010-05.11.2012 წწ. საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ; 05.11.2012-14.06.2013 წწ. საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ; 14.06.2013-21.11.2013 წწ. საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსად.

### ქონებრივი დეკლარაცია

ირაკლი შოთაძე, დაბადებული თბილისში, 1983 წლის 7 აგვისტოს.

მეუღლე ნინო გოტიაშვილი, დაბადებული თბილისში, 1989 წლის 11 იანვარს.

მამა ჯემალ შოთაძე, დაბადებული თბილისში, 1949 წლის 14 თებერვალს.

დედა მანანა ბლაგიძე, დაბადებული ბათუმში 1953 წლის 20 სექტემბერს.

ჩინოვნიკის ოჯახის უძრავი ქონების ნუსხა ასეთია:

ნინო გოტიაშვილი, 100% მიწის ნაკვეთი საქართველო, თეთრი წყარო, სოფელი ალგეთი, ფართობი 1092.00 კვ.მ.

ნინო გოტიაშვილი, 100% საცხოვრებელი სახლი თეთრი წყაროს სოფელ ალგეთში, ფართობი 87.00 კვ.მ.

ჯემალ შოთაძე, მიწის ნაკვეთი 100%, საქართველო, ოზურგეთი, სოფ. შემოქმედი, ფართობი 3500.00 კვ.მ.

ჯემალ შოთაძე, 100%, საცხოვრებელი სახლი ოზურგეთის სოფელ შემოქმედში ფართობი 140.00კვ.მ.

ჯემალ შოთაძე, 100% ბინა თბილისი, ნუცუბიძის ქ. №183, ფართობი 56.00 კვ.მ.

მანანა ბლაგიძე 100%, მიწის ნაკვეთი თბილისი, დიღმის საცდელი მეურნეობა, ფართობი 1000.00 კვ.მ.

მანანა ბლაგიძე, 100% მშენებარე ბინა მგალობლიშვილის №1. ფართობი 80.00 კვ.მ.

მანანა ბლაგიძე, საცხოვრებელი სახლი თბილისი, ფანასკერტელის ქ. №6, ბინა 132, ფართობი 100.00 კვ.მ.

მთავარი პროკურორის მოადგილეს მოძრავი ქონება აღნიშნული არ აქვს, ასევე, არ აქვს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები. რაც შეეხება გრაფას, „საქართველოს და ან სხვა ქვეყნის საბანკო ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებს“, ეს ასე გამოიყურება:

ირაკლი შოთაძე, „ლიბერთი ბანკი“, სახელფასო 600.00 ლარი.

ირაკლი შოთაძე, „ლიბერთი ბანკი“, საკრედიტო 5000.00 ლარი.

ნინო გოტიაშვილი, „ლიბერთი ბანკი“, სახელფასო 150.00 ლარი.

მანანა ბლაგიძე, „თიბისი ბანკი“ სახელფასო 100.00 ლარი.

დეკლარანტსა და მისი ოჯახის წევრებს ხელზე ნაღდი ფული არ აქვთ, რაც აღემატება 4000 ლარს, ასევე, ოჯახის არც ერთი წევრი არ მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში. ვნახოთ, რა ხდება იმ გრაფის მიხედვით, სადაც დეკლარანტმა უნდა ჩაწეროს, რა „ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო აქვს შესრულებული“, ამ შემთხვევაში შოთაძის ოჯახის წევრებს, გარდა სამეწარმეო საქმიანობისა.

ნინო გოტიაშვილი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს სპეციალისტი, 14 779.00 ლარი.

ნინო გოტიაშვილი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, თბილისის მთ. სამმართველოს მე-2 სამმართველოს გამომძიებელი, 1 150.00 ლარი.

ირაკლი შოთაძე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 33 881.00 ლარი.

ირაკლი შოთაძე, საქართველოს მთავარი პროკურატურა, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, 6 760.00 ლარი.

მანანა ბლაგიძე, შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო, ექიმი, 4 919.00 ლარი.

ირაკლი შოთაძე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი, 51 362.00 ლარი.

მანანა ბლაგიძე, „სანოფი-ავენტის ჯგუფის“ წარმომადგენლობა საქართველოში, ექიმი, 1 010.00 ლარი.

„საქართველოში, ან სხვა ქვეყანაში დეკლარანტის, ან მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული, ან მოქმედი ხელშეკრულება“:

მანანა ბლაგიძე, მგალობლიშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი ბინის განვადებით ნასყიდობა, 52000.00 ამერიკული დოლარი. ირაკლი შოთაძე, სამომხმარებლო სესხი 16500.00 ლარი. ირაკლი შოთაძე, სესხი, „ლიბერთი ბანკის“ საკრედიტო ბარათი, 5000.00 ლარი.

### რისი გამკეთებელია სინამდვილეში ირაკლი შოთაძე?

ირაკლი შოთაძე გიორგი ბადაშვილის მოადგილე იყო 2 წლის მანძილზე. ამ 2 წელიწადში საზოგადოება, მედია, არასამთავრობო სექტორი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა ბადაშვილს. ეს კაცი დასცინოდა საქართველოს მოქალაქეებს – მთავარ პროკურატურაში ე.წ. სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტი შექმნა, რომელსაც ირაკლი ნადარეიშვილი ჩაუყენა სათავეში. იცით, რამდენი გამომძიებელი მუშაობს ამ დეპარტამენტში? ათი! რა გამოდის? რაც „ნაციონალებმა“ 9 წლის მანძილზე ხალხს ქონება ჩამოართვეს, ეს ყველა დანაშაული ათმა გამომძიებელმა უნდა გამოიძიოს. იცით, მოქალაქეთა რამდენი საჩივარია ამ დეპარტამენტში შესული? 20 000!

მოდით, დავუშვათ, როგორც ამბობენ, მართლაც ამ 20 000 საჩივრიდან მხოლოდ 5 ათასი აღმოჩნდა ისეთი საქმე, რომლებშიც დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, საქმე აღიძრა და გამოძიება დაიწყო. გამოდის, ეს 5 ათასი საქმე 10-მა გამომძიებელმა უნდა გამოიძიოს. თითო გამომძიებელზე, საშუალოდ, 500 საქმე მოდის. შესაბამისად, თითო გამომძიებელმა 1 თვეში რომც გამოიძიოს 1 საქმე, რაც წარმოუდგენელია, გამოდის, რომ მათ ამ 5000 საქმის გამოსაძიებლად დაახლოებით, 41 წელი მოუწევთ! სიმბოლური კია ეს რიცხვი, მაგრამ სინამდვილეში ხედავთ, რამხელა აბსურდთან გვაქვს საქმე?! გამოდის, რომ გიორგი ბადაშვილს საერთოდ არ აინტერესებს ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესი, თორემ ათს კი არა, მინიმუმ, 50 გამომძიებელს მაინც დანიშნავდა ამ დეპარტამენტში. მართალია, დღეს თავად პროკურატურაში კვალიფიციური გამომძიებლების დეფიციტია, მაგრამ ბადაშვილს რომ მოენდომებინა, მათ მოძებნიდა. ბადაშვილმა ეს „სამართლიანობის აღდგენის“ დეპარტამენტი ხალხის თვალის ასახვევად, ხალხის მოსატყუებლად შექმნა, ვითომ ხალხს წართმეულ ქონებას დაუბრუნებდა. რეალურად კი, ქონების დაბრუნების ოცამდე

# იყო მისი არჩევა დიდი შეცდომა?

## რიგში, ახლად არჩეული მთავარი პროკურორი?





ფაქტი დაფიქსირდა, აქედან მხოლოდ ერთი იყო მეტ-ნაკლებად სოლიდური – ზურაბ ადეიშვილმა და ვანო მერაბიშვილმა, თეიმურაზ მეგრელიშვილს და ნოდარ მოდებაძეს იძულებით ჩამოართვეს თელავში მდებარე აკურის ღვინის ქარხანა და მერაბიშვილსა და ადეიშვილს ამის გამო ბრალიც დაუმძიმდათ. სხვა, უფრო ღირებული არაფერი გაუკეთებია ამ „მრისხანე“ დეპარტამენტს 8 თვის მანძილზე.

გიორგი ბადაშვილმა პროკურატურიდან არ გაუშვა ის პროკურორები და გამომძიებლები, ვინც თავად მონაწილეობდნენ ამ ქონებების წართმევის პროცესში. ბევრი, საპროცესოს აფორმებდა და ამ ფორმით მონაწილეობდა, ბევრი, უშუალოდ იყო ჩართული, სხვადასხვა გზით ზეწოლას ახდენდნენ მოქალაქეებზე, რომ „ნაციონალებისა“ და მათი ფავორიტებისთვის გადაეფორმებინათ ან, სხვა ფორმით დაეთმოთ წლობით ნაგროვები ქონება. აი, ეს პროკურორები და გამომძიებლები, დღეს საკუთარ დანაშაულს იძიებენ და თუ ვინმე ერთ ფაქტს დამისახელებს, რომ რომელიმე პროკურორს, ჩადენილი დანაშაულისთვის საკუთარი თავისთვის ბრალი წაეყენებინოს, საერთოდ გავჩუმდები და გიორგი ბადაშვილის ტატუს შუბლზე დავიხატავ.

აი, ამ აბსურდის თეატრში, ერთ-ერთი წამყვანი როლი ჰქონდა ირაკლი შოთაძეს, ის ბადაშვილის პირველი მოადგილე იყო და კრინტი არ დაუძრავს, ერთი საპროტესტო სიტყვა არ დასცდენია იმის შესახებ, რასაც ბადაშვილი აკეთებდა თუ არ აკეთებდა. უმსგავსობას ეგუები? ჩუმად ხარ? ხმას არ იღებ? მაშასადამე – ეთანხმები! დიახ, გიორგი ბადაშვილი და ირაკლი შოთაძე სამართლიანობის აღდგენის საქმეში თანამოაზრენი არიან. ვერც ბადაშვილმა მოაბა ამ საქმეს თავი და არც შოთაძეა თავის მომბმელი. ახლა ვინმე მეტყვის, ირაკლი შოთაძე, შესაძლოა, ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა ბადაშვილს, მაგრამ უფროსს ხომ არ აუმხედრდებოდა და მის წინააღმდეგ ხომ არ წავიდოდა? ეს რომ ექნა, ბადაშვილი სამსახურიდან გაუშვებდაო. ეგ მეორე უბედურებაა. გამოდის, რომ ირაკლი შოთაძე კონფორმისტია, ზემდგომის წინააღმდეგ არ წავიდა და არც ახლა, მთავარი პროკურორის რანგში უნდა ველოდოთ, რომ, ის საკუთარ უფროსს წინააღმდეგობას გაუწევს, მის პოზიციას არ გაიზიარებს. ასეთი უფროსი კი მას რამდენიმე ჰყავს. რეალურად, ირაკლი შოთაძის უფროსია იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და ცხადია, ბიძინა ივანიშვილი. ვინმე ერთი წამით მაინც დაუშვებს იმას, რომ, თუ ამ სამიდან ერთ-ერთმა კანონი დარღვია, დანაშაული ჩაიდინა, შოთაძე მათ წინააღმდეგ გამოძიებას დაიწყებს? ვინმეს გჯერათ, რომ ამ სამეულიდან რომელიმეს ოჯახის წევრმა, ახლო ნათესავმა, მეგობარმა თუ დანაშაული ჩაიდინა, შოთაძე რომელიმეს დაიჭერს? ცხადია, ამას ვერ გააკეთებს. ბოლო და ბოლოს, ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად შოთაძის კანდიდატურა და რაღა თქმა უნდა, რომ მისგან დიდად დავალებული იქნება. თეა წულუკიანზე აღარაფერს ვამბობ, თავად მან წარადგინა მისი კანდიდატურა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, შოთაძე მისი ნებართვის გარეშე, ვერც ამ საპროკურორო საბჭოს არჩევნებს მოიგებდა და მეტიც – არც კი წარადგენდნენ მთავარი პროკურორობის კანდიდატად. ახლა, თავად განსაჯეთ, რისი მაქნისია მთავარი პროკურორი, რომელსაც დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია!

ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა ჩემთან საუბარში განაცხადა, ირაკლი შოთაძეს პარლამენტი დაამტკიცებს, აი, მერე, უკვე შეეძლება აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან განთავისუფლება, მას დამოუკიდებლობის უფლებას კანონი აძლევსო. მან მაგალითიც მოიყვანა – გიორგი მარგველაშვილიც ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ რჩეულია, მაგრამ კანონის ფარგლებში, დამოუკიდებელი პოლიტიკოსი გახდა და ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებაზე“ არათუ ჩამოკიდებულია, მათ ოპონენტადაც გადაიქცაო. ჩემთვის მეტად პატივსაცემ ადვოკატს, ამჯერად, ვერ დავეთანხმები, ჯერ ერთი, თუ გიორგი მარგველაშვილი გაექცა ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის გავლენას, ეს თავისთავად იმას არ ნიშნავს, რომ ირაკლი შოთაძეც ამას გააკეთებს. მეორეც, მარგველაშვილი ქვეყნის პრეზიდენტია, მისი შევიწროება კი ბევრჯერ სცადეს ივანიშვილმაც და მისი დაკვეთით, ღარიბაშვილმაც, მაგრამ მარგველაშვილმა განგაშის ზარს რომ შემოჰკრა, აქაც და დასავლეთშიც ქვეყნის დამცველები გამოუჩნდნენ. აი, მთავარი პროკურორი კი სხვა, დაბალი წონაა, მარგველაშვილი მძიმე თუ არა, ქვემძიმე წონაში მაინც ჭიდაობს და სხვა ფასი ადევს. ამასთანავე, გიორგი მარგველაშვილი ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტია და თუ ქვეყანა არ დააქცია, მას პოსტს ვერ დაატოვებინებ. უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს არის, რომ ის ივანიშვილისა და მისი პარტიის გავლენას იოლად გაექცა. ირაკლი შოთაძე კი ბიძინა ივანიშვილის საპარლამენტო კოალიციამ უნდა დაამტკიცოს, შესაბამისად, მის წინაშე ანგარიშვალდებული იქნება. თუ „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიგო, მაშინ მთავარი პროკურორი კიდევ 4 წლით, 2020 წლამდე ეყოლება ჯიბეში ივანიშვილს, რადგან, როგორც დაანიშვნინებს საკუთარ კოალიციას, ისევე მოახსნევინებს, საამისოდ კი ათასი მიზეზი გამოიძებნება. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ 6-წლიანი სამთავარპროკურორო მოღვაწეობიდან, 5 წელი მაინც ივანიშვილის მორჩილი იქნება შოთაძე.

ზოგიერთი აცხადებს, რომ, თუ „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები წააგებს, ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვა, ირაკლი შოთაძე რეალურად დამოუკიდებელი მთავარი პროკურორი გახდება, რადგან ხელისუფლებაში არც ღარიბაშვილი და არც წულუკიანი აღარ იქნებიან და აღარც ბიძინა ივანიშვილს ექნება სახელისუფლებო ბერკეტები, შესაბამისად, მათ წინაშე ყველა ანგარიშვალდებულება მოეხსნებაო. ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმები. თუ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ახალმა ძალამ ჩაანაცვლა, ირაკლი შოთაძე ამ ახალი პარლამენტის კონტროლქვეშ იქნება, აქედან გამომდინარე, იმ პრემიერ-მინისტრსაც გაუწევს ანგარიშს. რომელსაც ეს გამარჯვებული პარტია თუ კოალიცია აირჩევს. არ გააკეთებს ამას? აი, როგორც აირჩევენ, ისევე გადაირჩევენ. შოთაძე პრემიერს, გამარჯვებული ძალის ლიდერს ვერ დაუპირისპირდება, რადგან ეს პარლამენტთან დაპირისპირების ტოლფასი იქნება. საპარლამენტო უმრავლესობას, რომლის ხელშიც მისი ბედი იქნება, ცხადია, ბუზსაც ვერ აუფრენს.

აბა, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მთავარი პროკურორი ხელისუფლების გავლენისგან დამოუკიდებელი? ერთადერთ შემთხვევაში – თუ მას ხალხი აირჩევს, ექნება ხალხისა და არა პარლამენტის მანდატი და მყარი ლეგიტიმაცია. აი, ამ შემთხვევაში შეძლებს ყველანაირი სახელისუფლებო გავლენისგან თავის განთავისუფლებას მთავარი პროკურორი და ასეთ შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილთან მისი შედარებაც ნაწილობრივ შეიძლება. თუმცა, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ასეთ შემთხვევაში, ზოგადად, მთავარი პროკურორი შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი ფიგურა და არა, სახელდობრ, ირაკლი შოთაძე. ვეჭვობ, შოთაძე ხალხმა რომც აირჩიოს, მან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლოს. დამოუკიდებლობა თუ გინდა, ამის სურვილი უნდა გქონდეს. მთავარი პროკურორის მოადგილის რანგში, შოთაძეს დამოუკიდებლობის სურვილი არც ერთხელ არ დაუფიქსირებია.

მოკლედ, მთავარი პროკურორი ხალხს უნდა აერჩია და არა თეა წულუკიანის საპროკურორო საბჭოს, თანაც, წინასწარ დაწერილი სცენარით. ხალხის რჩეული კი კონფორმისტი ირაკლი შოთაძე ვერ გახდებოდა. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, ეს რომ მომხდარიყო, არჩევნებში კახი კახიშვილი და სხვა, საზოგადოებისთვის მისაღები ფიგურები მიიღებდნენ მონაწილეობას და ხალხი ღირსეულ მთავარ პროკურორს აირჩევდა. ასეთ შემთხვევაში, ირაკლი შოთაძეს წარმატების არანაირი შანსი არ ექნებოდა. დიახ, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ უნდა ჰყავდეს მთავარ პროკურორად, ვის მიანდოს სამართლიანობის აღდგენა და არა ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც ნაკლებად ადარდებს იმ ხალხის ბედი, ვინ „ნაციონალებმა“ კანონის სახელით დააყაჩაღეს და ბევრი მათგანი უსახლკაროდაც დატოვეს.

ახლა, ისევ სამართლიანობის აღდგენის პროცესს დავუბრუნდები და ამით დავასრულებ. რაც გიორგი ბადაშვილზე ვთქვი, ეს კაცი ამ ყველაფერს იმსახურებს. თუმცა, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესის გააქტიურება რომ ნდომებოდა, ან ბადაშვილს შეუჩხიკინებდა და ახლა, დაზარალებული მოქალაქეების დიდ ნაწილს ქონება დაბრუნებული ექნებოდა, ან ბადაშვილს აქამდე მოხსნიდა და ამ საქმეს სხვა გააკეთებდა. სიმართლე ის არის, რომ თავად ბიძინა ივანიშვილი არ არის დაინტერესებული, „ნაციონალების“ მიერ ნაძარცვი ქონება, მის კანონიერ პატრონს დაუბრუნოს. შოთაძე ივანიშვილს ვერ გადაახტება, რასაც ეტყვის, იმას გააკეთებს, სამართლიანობის აღდგენის პროცესის ტემპი ისე წარიმართება, როგორც ივანიშვილი განსაზღვრავს მას. შესაბამისად, ირაკლი შოთაძეს არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

ერთადერთი, რისი მოლოდინიც შეიძლება შოთაძისგან გვქონდეს, ლოგიკურად, მან რამდენიმე ბობოლა „ნაციონალს“ უნდა წაართვას ხალხისთვის წართმეული ქონება, ამ ბობოლებს დაიჭერენ და ხალხს იმედი ჩაესახება, რომ ირაკლი შოთაძემ რეალურად დაიწყო სამართლიანობის აღდგენა. ამის იმედიც იმიტომ მაქვს, რომ ახალი ცოცხი კარგად გვის და თანაც ეს „ქართული ოცნებისთვის“ წინასაარჩევნოდ მომგებიანი სვლა იქნება, ამ ანკესს ძალიან ბევრი საარჩევნო ხმა წამოეგება.

ლაურა აბრამია
591 97-67-09



ჰობი



# ჯონდი ბაღათურია: „მეტყვიამფრქვევე ვიყავი და საკუთარი ტყვიამფრქვევიც კი მქონდა!“

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია რუბრიკა „ჰობში“ „ქრონიკასთან“ სახალისო ისტორიებს იხსენებს:**

– ძალიან მიყვარს ცურვა და ცხენოსნობა, ბევრი რამ მიყვარს კიდევ, ნადირობაც, სათევზაოდ წასვლაც, მაგრამ ამ ორ სპორტს ძალიან აქტიურად მივდევ, და ვთვლი, რომ ჩემი მთავარი გატაცება ეს ორი სახეობაა. პრაქტიკულად სამი წლის ვიყავი, ცურვა რომ დავიწყე, 9 წლის ვიყავი, როცა წყალბურთზე შევედი, იმის მერე მთელი ცხოვრება ვცურავ, ნახევრად ხუმრობით რომ ვთქვა, რომ შევაჯამოთ, უფრო მეტი ხანი ხმელეთზე დავდივარ თუ წყალში ვცურავ, გასარკვევია.

**— მთავარია, არ დაფრინავთ... ესე იგი, სანადიროდ და სათევზაოდაც ხშირად დადიხართ?**

– ოოოო, ძალიან მიყვარს ნადიობაც და თევზაობაც, თოფის სროლა კარგად გამომდის, თუმცა ხშირად დავდივარ-მეთქი, რომ გითხრა, მოგატყუებ. წლებია, არც სანადიროდ ვყოფილვარ და არც სათევზაოდ, მაგრამ სურვილი სულ მაქვს, მეგობარი შემპირდა ახლახან, რომ ორგანიზებას გაუკეთებს და წავალთ სადმე სანადიროდ, რუსები როგორც იტყვიან, „მეჩტაც ნე ვრედნაო“, ეგრე მჭირს. ახლა ამაზე გამახსენდა და მინდა გითხრათ, რომ ოცნება საკმაოდ მავნეა, პოლიტიკოსისთვის – მით უფრო, რეალობას არ უნდა მოსწყდე, იმიტომ, რომ როცა ღრუბლებში ფრენას დაიწყებ, აუცილებლად გამოგრჩება რაღაცები...

**— გამომდინარე აქედან, ბავშვობაში სპორტსმენობა გენდომებოდათ?**

– კი, მთელი ცხოვრება სპორტს მივდევ, მაგრამ იცი, რა არის? თან მეცინება ამაზე, ბავშვობაში ერთი ბანალური ოცნება მქონდა, გამოვსულიყავი კოსმონავტი, მეკითხებოდნენ და მეც ვპასუხობდი ასე. ახლა რომ ვფიქრობ, ეს ოცნება სულაც არ იყო, რატომღაც ასე უნდა მეპასუხა, ეს უფრო რაღაც აღმატებულთან ასოცირდებოდა, ვიდრე ნამდვილ ოცნებასთან. ახლანდელი გადმოსახედიდან ჩემს მთავარ ოცნებებში ჩამოვთვლი იმას, რომ მინდოდა, მყოლოდა ძაღლი, მყოლოდა საკუთარი ცხენი, ლომი, ვეფხვი, ასეთ ამბებზე ვოცნებობდი რეალურად... ბავშვობაში მაცი ხვიტიობა მინდოდა, და მაცისნაირი ცხენი მინდოდა, მყოლოდა (იცინის).

**— ცხენების მოპარვის ფარული სურვილიც ხომ არ გქონიათ?**

– მქონია და ვიპარავდი კიდეც. არა, არ ვხუმრობ, მოზარდობის პერიოდში სოფელში ჭალებში გავდიოდით, ცხენებს ვიპარავდით, მოვახტებოდით, ვაჯირითებდით და მერე დაღლილ, ქანცგაწყვეტილ ცხენებს ვაბრუნებდით იმ ადგილზე, საიდანაც წავიყვანეთ, ამის გამო მუდმივი პროტესტი და გარჩევები იყო სოფელში, რომც არ დავმწვარიყავით მაგ ამბებზე, ცხადი იყო, რომ ჩვენი ჩადენილი იყო, შემჩნეულები ვიყავით ცხენების მოპარვაში და იმიტომ. ხშირად მიუღიათ ჩემს მშობლებს ამაზე საყვედური.

**— საკუთარი ცხენი თუ გყოლიათ?**

– როგორ არა, მყავდა წლების წინათ, ძალიან კარგი ცხენი იყო, ახალთექური. სამწუხაროდ, აღარ მყავს. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ არ ვარ ურიგო ცხენოსანი. როცა სულ ცოტა თავისუფალი დრო გამომიჩნდება გამუდმებით ვჯირითობ, ისევ მინდა საკუთარი ცხენი.

– სიტყვამ მოიტანა და იპოდრომის საპროტესტო აქციებზე მინდა გკითხოთ, ეს მიშას მმართველობის დროს იყო, თუ სწორად მახსოვს, და საკმაოდ მასშტაბური აქციები იმართებოდა მაშინ...

– დიახ, ეს იყო 2008 წელს. მახსოვს კი არა, ამ აქციის ორგანიზატორი ვიყავი. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი აქცია, მრავალათასიანი მართლაც, მიშას მმართველობის წინააღმდეგ მიმართული. იქ ხალხი თავისი სამშობლოსა და ოჯახის დასაცავად იყო გამოსული, იმ კრიმინალური ბანდის წინააღმდეგ, სააკაშვილის მმართველობა რომ ერქვა. თუმცა, სამწუხაროდ, ყველა ჩვენმა კოლეგამ ვერ გაამართლა, მაშინდელი ოპოზიციის ლიდერებს ვგულისხმობ. როგორც გითხარით, „გაერთიანებული ოპოზიციის“ აქცია იყო, რომლის ერთ-ერთი ლიდერი „ქართული დასი“ გახლდათ, სულ 8 პარტიისგან შედგებოდა ეს მაშინდელი „გაერთიანებული ოპოზიცია“, მაგრამ ზოგმა არ გაამართლა, გვიმუხთლა, რომ იტყვიან. ეს აქცია არასდროს არ დამავიწყდება არც მე არც ქართველ საზოგადოებას. ყველა ჩვენმა კოლეგამ, ზოგიერთმა ვერ გაამართლა ხალხის მოლოდინები, რაც ძალიან სამწუხაროა...

**— გასაგებია... ისევ გატაცებების თემას დავუბრუნდეთ, კიდევ რა ფარული სურვილები გქონდათ ახალგაზრდობაში?**

– იცი, რა? ყოველთვის მინდოდა ბასრი ხმალი, ფარი, მშვილდ-ისარი, თოფ-იარაღისკენ მქონდა ყოველთვის მიდრეკილება, ამგვარი რამეები მიზიდავდა.

**— იარაღთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, საკუთარი იარაღი თუ გქონიათ?**

– იარაღი როგორ არ მქონია, მაგის მეტი რა მქონია? ასე გეტყვით, საერთოდაც, ვისროდი, აფხაზეთში ვიბრძოდი, მეტყვიამფრქვევე ვიყავი, ანუ ტყვიამფრქვევიც კი მქონდა საკუთარი, ახლაც მაქვს საკუთარი ტაბელური იარაღი, თან ორი, ორივე გაფორმებული... მოგახსენებთ იმასაც, რომ იარაღის ტარების უფლების აკრძალვას მხარს არ ვუჭერ. თუ ადამიანი ზრდასრულია, თუ მას ნორმალური ფსიქიკა აქვს, იარაღი რომ ჰქონდეს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მომხრე ვარ, მაგრამ აუცილებლად კარგად უნდა იყოს ეს იარაღი შენახული პიროვნების მიერ, თორემ ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცით, მეც მინახავს პირადად ტრაგიკული შემთხვევები. მაგალითად, აფხაზეთში ერთ მეგობარს გაუვარდა შემთხვევით და მეორე მეგობარს ბარძაყში მოხვდა, ფეხში დაჭრა, მე პირადად იარაღთან ერთად არ დავბადებულვარ, მაგრამ კარგად ვიცნობ იარაღს და ძალიან დიდ პროფესიონალებსაც კი მოსდით შეცდომები. იარაღი, ზოგადად, ძალიან კარგად უნდა ინახებოდეს, ოჯახში მით უმეტეს, ბავშვს რომ ხელი არ მიუწვდეს. არ ვარ მომხრე, რომ საერთოდ აიკრძალოს. ერთია, ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობა კარგად უნდა იყოს გადამოწმებული, გაუწონასწორებელი ადამიანის ხელში იარაღი ნამდვილად არ უნდა მოხვდეს, მით უმეტეს, დღევანდელი მოვლენების ფონზე საჭიროა ნამდვილად, როცა საქართველო ერთგვარ კორიდორადაა გადაქცეული ტერორისტებისთვის და იარაღის ტრანზიტისთვის. მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი იარაღია უკანონოდ შემოსული, ამიტომ წესიერ მოქალაქეს რომ ჰქონდეს თავდაცვის მიზნით და ა.შ. ამაში ცუდი არაფერია.

**— დაბოლოს, პოლიტიკური გზით რომ უნდა წასულიყავით, როდის მიხვდით?**

– არასოდეს ცხოვრებაში არ მიფიქრია, რომ პოლიტიკაში წავიდოდი, აი, მართლა არასოდეს. მაშინაც კი არ ვფიქრობდი პოლიტიკაზე, როცა სინამდვილეში, ახლა რომ ვაკვირდები, გაგანია პოლიტიკურ ამბებში ვიყავი გადაშვებული თავით. მექანიკურად, შინაგანი სულიერი მდგომარეობით, სუბსტანციით, შეიძლება ითქვას, ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში და რეალური მოქმედება ეროვნულ მოძრაობაში როდის დავიწყე, რომ მკითხოთ, დანამდვილებით გამიჭირდება თქმა, შეიძლება მაშინ, როცა პირველად გავიგე რაიმე ისტორიული ფრაზები ან დავით მეფეზე, ან ერეკლე მეფეზე, ან რაიმე ფრაგმენტი ქართველების შესახებ, მას მერე შინაგანად ვიყავი მეამბოხე, ანუ არ მომწონდა, საბჭოთა კავშირში რომ ვიყავით, მინდოდა, რომ თავისუფალი ქვეყანა ვყოფილიყავით...

არადა, ეროვნული მოძრაობის დროს ძალიან ახალგაზრდაც არ ვიყავი, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, იქ მეც ინერციით აღმოვჩნდი. როგორც უკვე გითხარით, ხიფათი ბავშვობიდან მიზიდავდა, რასაც მიშლიდნენ, იმის კეთების გაათმაგებული სურვილი მიჩნდებოდა, პირველად პროკლამაციებს ვავრცელებდი, ეს მაშინ ძალიან მომწონდა, მომწონდა ის, რაც ამ პროკლამაციებში ეწერა, მერე თუ სადმე დავიწვებოდით და მაშინდელი მილიცია დაგვიჭერდა ან რამე მოხდებოდა, ეს ხიფათის მომენტიც მიზიდავდა ძალიან. აი, ასე აღმოვჩნდი პოლიტიკაში. მახსოვს 24 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემი მეუღლე, რომელიც ჩვენს პირველ შვილზე, თორნიკეზე, 5 თვის ფეხმძიმე იყო, 9 აპრილის იმ ავადსახსენებელ ღამეს მთავრობის სახლთან ვიდექით. მაშინ უკვე სერიოზულად ვიყავი ჩართული პოლიტიკაში. მაგრამ მე ჩემი თავი წარმომედგინა როგორც მებრძოლი, მე სხვებს ვთვლიდი მაშინ პოლიტიკოსებად – გამსახურდია, ჭანტურია და ა.შ. პრინციპში, ეგ არის პოლიტიკა, როცა შენ იბრძვი შენი ქვეყნისთვის, ზოგს პოლიტიკოსობა ჰგონია რაღაცა ინტრიგანობა, სიცბიერე, ვიღაცას რომ მოატყუებ... ეს არ არის პოლიტიკა, ამას ნაძირალობა ჰქვია, უბრალოდ.

**— აშკარაა, აზარტულიც იქნებით...**

– (ფიქრობს) კი, კი, ჟილკიანი ვარ, ზედმეტადაც კი, რაღაცას რომ დავიწყებ, იმ საქმეს ბოლომდე ვაკეთებ, ცალი ხელით რაიმე საქმის კეთება არ შემიძლია, ერთი გულით, ერთი თავით და ორივე ხელებით, რომ იტყვიან, თავიდან ფეხებამდე ვარ ხოლმე ამბავში ჩართული, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, წაგება არ მიყვარს.





**„მინდოდა, მყოლოდა ძაღლი, მყოლოდა საკუთარი ცხენი, ლომი, ვეფხვი... მაცი ხვიტიობაზე ვოცნებობდი და მაცისნაირი ცხენი მინდოდა მყოლოდა“**





**„არასოდეს ცხოვრებაში არ მიფიქრია, რომ პოლიტიკაში წავიდოდი, აი, მართლა არასოდეს. მაშინაც კი არ ვფიქრობდი პოლიტიკაზე, როცა სინამდვილეში, ახლა რომ ვაკვირდები, გაგანია პოლიტიკურ ამბებში ვიყავი გადაშვებული თავით“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# „ვერ გავიგე, ჩვენ უკანა ერთი ადგილით საბჭოთა კავშირში უნდა ვიყოთ და წინა ნაწილით ევროპისკენ მივდიოდეთ?“



„თუ ადამიანი ნორმალურია და კანონთან პრობლემები არ აქვს, რატომ არ უნდა ჰქონდეს იარაღის ტარების უფლება? ეს მკვლელობებსაც შეამცირებს ქვეყანაში და ყაჩაღობასაც“

თუ ექიმი გამოგიწერს „სუბოტექსს“, თუ გეტყვის, ნევროზი გაქვს და გჭირდებაო, პოლიციამ ვერ უნდა დაგაპატიმროს.









„სტატისტიკას რომ გადავხედოთ, დანაშაულის 95 პროცენტი ჩადენილია ალკოჰოლური ზემოქმედების პერიოდში. სხვათა შორის, შევარდნაძის დროს სიმთვრალე ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად. ახლა რა გამოდის, ჩვენ ალკოჰოლი უნდა ავკრძალოთ ქვეყანაში?“

**„თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, უნდა მოხდეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით კანონების ლიბერალიზაცია“, — აცხადებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე. მისი თქმით, ადვოკატთა ჯგუფი აქტიურად მუშაობს საკონსტიტუციო სარჩელზე, რომლის თანახმადაც, „სუბოტექსისა“ და სუბომაქსის მოხმარება დასჯადი აღარ უნდა იყოს:**

„ეს არის ევროპული სტანდარტი, ევროპული მიდგომა, რომ ნორმალური ევროპული სახელმწიფოები ნარკოტიკის მომხმარებლებს განიხილავენ არა როგორც კრიმინალებს, არამედ ადამიანებს, რომელსაც სჭირდებათ მკურნალობა. მათი სამკურნალო დაწესებულება კი ნამდვილად არ არის ციხე. ავადსახსენებელი პრაქტიკა, ანუ ნარკოტიკების ჩადება, რასაც წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა, დღესაც გრძელდება. ამის მსხვერპლი გახდა პატიმარი რევაზ ანთიძე. მას ნარკოტიკი ჩაუდო მირზოევმა, რომელიც ამჟამად სააკაშვილთან იმყოფება. სამწუხაროა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეს სენი ვერ მოიშორა“.

**რამდენად უპრიანია დღევანდელი საქართველოსთვის ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალიზაცია და რამდენად სამართლიანი — ევროპულ სტანდარტებს ამოფარება? ამაზე „ქრონიკამ“ შეკითხვები თავად ШАЛВА ხაჭაპურიძეს დაუსვა:**

**— შალვა, რა იყო, რომელ ევროპაში გარბიხართ ამ ნარკოტიკებით?**

– ჩვენ რომ ვამბობთ, მივდივართ ევროპისკენო, ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას...

**— ასოცირების ხელშეკრულებაში სად წერია, ნარკოტიკებზე აკრძალვები მოხსენითო?**

– ასოცირების ხელშეკრულებაში ეგ არ წერია, მაგრამ ნათქვამია, თქვენი კანონმდებლობა მოიყვანეთ შესაბამისობაში ევროპულ კანონმდებლობასთანო.

**— რაღა აქედან იწყებთ? მაშინ მე მაქვს ასეთი შეკითხვა: შენ ამბობ, ვიღაცას ნარკოტიკები ჩაუდეს და ეს არის პრობლემაო. კი, ბატონო, ამაში გეთანხმები, ჩადება ცუდია, მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვს, იარაღსაც უდებდნენ ხოლმე, მაშინ აქედან დაიწყეთ, იარაღი დამიკანონეთ, რომ ველარ ჩამიდონ და საერთოდაც, თავი დავიცვა. ხომ ხედავთ, მსოფლიოში რა ხდება!**

– კარგი შეკითხვა დასვი... როდესაც მე ჩემი სათქმელი გავახმაურე, ძალიან ბევრმა ადამიანმა დამირეკა. ვინც მელაპარაკა, შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად – ერთი ნაწილი მეუბნება: რას ლაპარაკობთ, ახლა ამ ქვეყანას კიდევ „სუბოტექსი“ და ნარკოტიკების ლეგალიზაცია უნდა? მეორე ნაწილი მეუბნება, აგაშენათ ღმერთმა, აქამდე სად იყავითო? შენ ძალიან კარგი საკითხი წამოსწიე იარაღთან დაკავშირებით

**— სტატისტიკას რომ გადავხედოთ, დანაშაულის 95 პროცენტი ჩადენილია ალკოჰოლური ზემოქმედების პერიოდში. სხვათა შორის, შევარდნაძის დროს სიმთვრალე ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად. ახლა რა გამოდის, ჩვენ ალკოჰოლი უნდა ავკრძალოთ ქვეყანაში? რა თქმა უნდა, არა. ჩავხედოთ კვლავ სტატისტიკას: ოფიციალურად გაფორმებული იარაღით წლის განმავლობაში ხდება დანაშაულის 00,1 პროცენტი. დანაშაული ძირითადად ხდება იმ იარაღით, რომელიც შავ ბაზარზე ტრიალებს. ესე იგი, იარაღის ნაწილობრივ დაკანონებამ მოგვცა მშვენიერი სურათი, ფაქტობრივად, ამ კუთხით დანაშაული არ ხდება.**

**— მით უმეტეს, ჩემს სათქმელსაც შენ ამბობ, შეგეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი, რომ ვისაც ნორმალური ფსიქიკა აქვს, მივცეთ იარაღის ტარების უფლება. შენ რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციას ითხოვ, მე კიდევ თავდაცვა მინდა.**

**— ერთი ამერიკაში რომელიმე პრეზიდენტმა გაბედოს და იარაღის ტარება აკრძალოს, ეგრევე თავზე დაამხობენ მთელ ქვეყანას. რაც თეა წულუკიანმა გააკეთა, იარაღი დაშლილი უნდა გქონდეთ სახლშიო, ეგეც დიდი სისულელე იყო. აგერ, ორი თვის წინ შემოიღეს ახალი კანონი, სანადირო თოფებიც დაიკანონეთ, თორემ მაგაზეც ციხეაო. რეგიონებში 80 პროცენტს არ აქვს დაკანონებული, ზოგს ბაბუამ დაუტოვა, ზოგს კიდევ მამამ. ესეც ნამეტანი მოუვიდათ.**

დარეგისტრირება კი არ არის პრობლემა, მაგრამ იცის იმ გლეხმა, კანონი რომ მიიღე? შეიძლება უცებ დაადგნენ თავზე და დააპატიმრონ. ვინმემ საერთოდ გაიგო ამის შესახებ? იურისტებს ვეკითხები და იმათაც კი არ იციან. მე გეთანხმები, თუ ადამიანი ნორმალურია და კანონთან პრობლემები არ აქვს, რატომ არ უნდა ჰქონდეს იარაღის ტარების უფლება? ეს მკვლელობებსაც შეამცირებს ქვეყანაში და ყაჩაღობასაც.

**ამერიკული სტანდარტი უკვე აპრობირებულია, ერთხელ ბარაკ ობამამ გააკეთა განცხადება, მკვლელობა რომ მოხდა სკოლაში, უნდა ავკრძალოთო და კონგრესი დაინგრა კინაღამ, ეს ამერიკელების ისეთი უფლებაა, ვერავინ შეეხებაო. თუ ჩვენ მივდივართ ევროპისკენ, თავის გატანა საბჭოთა კანონმდებლობით გვინდა? ვერ შევალთ ასე ჩვენ ევროკავშირში.**

რაც შეეხება „სუბოტექსს“, ეს არის ფსიქოტროპული ნივთიერება. ამაზეა საუბარი გაეროს 1971 წლის კონვენციაში და პირდაპირაა მითითებული 23-ე მუხლში.

**შევარდნაძის პერიოდში ერთ-ერთ გავლენიან მინისტრს მოუნდა და პარლამენტს „სუბოტექსი“ შეატანინა ნარკოტიკული ნივთიერებების სიაში. ამის შემდეგ თავადვე შექმნეს ჯგუფები, რომლებსაც შემოჰქონდათ ეს ნივთიერებები და ფულის გაკეთების მიზნით ასაღებდნენ შავ ბაზარზე.**

მე არ ვამბობ, რომ ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარება რეცეპტისა და ექიმის გარეშე არ უნდა იყოს დასჯადი. ვისაც უნდა, ვერ მივა აფთიაქში და ვერ იყიდის, ვერც შემოიტანს, ვერც გაყიდის, აქ საუბარია იმაზე, რომ ეს ორი ნივთიერება გადავიდეს სამკურნალო ნივთიერებების სიაში და დასჯადი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ უკანონოდ შემოიტან, ან უკანონო ბრუნვაში გაუშვებ.

**— საითაც ჩვენ ვისწრაფვით, იმ ევროპაში როგორაა?**

– თუ რეცეპტის გარეშე და ექიმის გარეშე გაქვს, დასჯადია. თუმცა არც ისე, რომ სამუდამო პატიმრობაში უშვებდნენ ადამიანს. შენ იცი, დღეს რომ სამუდამო პატიმრობაშია ხალხი „სუბოტექსის“ გამო? ამაზეა ლაპარაკი, ამას ვეუბნები ხელისუფლებას, გადადგი ცოტა ცივილიზებული ნაბიჯი. მე ხომ არ ვამბობ, ყველა სახლში გაუშვი და ეს ნივთიერებები თავისუფლად დაყარე აფთიაქებში-მეთქი? ამოიღე ნარკოტიკების სიიდან და გადაიყვანე ფსიქოტროპულების სიაში. ვინც უკანონოდ მოიხმარს, ჩასვი ციხეში, მაინცდამაინც 8 წელი უნდა მისცე, ან კიდევ სამუდამო? სწორედ ეს თქვა საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანაზე, გარკვეული რაოდენობის ქვემოთ პატიმრობა არ მიუსაჯოო, ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციასო. მე ვერ გამიგეს კარგად, სულ სხვა რამე ვთქვი და სხვანაირად გაიგეს. გაეროს ორი კონვენციაა მიღებული ამ საკითხზე, იქ ყველა იდიოტია?

**— შენ გაავრცელე ინფორმაცია, რომ „სუბოტექსის“ მოხმარება დასჯადი აღარ უნდა იყოს. მორჩა, მეტი განმარტება არ გაგიკეთებია.**

– ვიმეორებ, თუ უკანონო ბრუნვაზეა საუბარი, მაშინ უნდა იყოს დასჯადი.

**— ჩვენს აფთიაქებში ფსიქოტროპული საშუალებები თავისუფლად იყიდება, ვინ აკონტროლებს?**

– უნდა გაკონტროლდეს... თუ ექიმი გამოგიწერს „სუბოტექსს“, თუ გეტყვის, ნევროზი გაქვს და გჭირდებაო, პოლიციამ ვერ უნდა დაგაპატიმროს.

**— ეს აზრი როდის მოგივიდა?**

– ამაზე ვლაპარაკობდი ჯერ კიდევ „ნაციონალების“ დროს, რამდენიმე პროცესი მოვიგე კიდეც, მერე მოსამართლეები გააფრთხილეს, ნუ მიჰქარავთო და ხალხს ულაპარაკოდ უშვებდნენ ციხეში, ყურადღებას აღარც კი მაქცევდნენ.

**— მიდი, მაშინ მიაწექი, იქნებ საკონსტიტუციო სასამართლომ იარაღის ტარების უფლებაც დაგვიკანონოს? სხვა თუ არაფერი, წულუკიანის „კანონი“ მაინც შეაცვლევინე, სახლში ყაჩაღი რომ შემოგივარდეს, ხომ ვერ ეტყვი, დამელოდე, ჯერ სეიფს გავხსნი, მერე დაშლილ იარაღს ავაწყობო. ისე, არც სააკაშვილ-ოქრუაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაუქმებული ე.წ. საფანტის იარაღების აღდგენა იქნება ურიგო...**

– გეთანხმები. მე ვფიქრობ, ყველას თუ არა, ზოგიერთი პროფესიის ადამიანებს უნდა მიეცეთ იარაღის ტარების უფლება – მაგალითად, ადვოკატები, ჟურნალისტები და ასე შემდეგ. აუცილებლად უნდა იყოს დამუშავებული რაღაც კრიტერიუმები, ვერ გავიგე, ჩვენ უკანა ერთი ადგილით საბჭოთა კავშირში უნდა ვიყოთ და წინა ნაწილით ევროპისკენ მივდიოდეთ? ევროპა ამ კანონებზეა დამყარებული და არა შუა საუკუნეების ზღაპრებზე.

# „ქრონიკის“ საშუალებით ვიწყებ ყველა იმ პროკურორის მხილებას, რომელსაც დანაშაულში აქვს გასვრილი ხელი!“

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**„ის, რასაც ახლა მე ვიტყვი, ჩემთვის, როგორც ბრალდებულისთვის მავნებელია, ჩემი საქმე ხომ ხუთი წელია, პროკურატურაში თაროზე დევს და შესაფერის მომენტს ელიან... მაგრამ აქ პირად ინტერესებზე არაა საუბარი. ამიტომაც, მე გეტყვით, დღეს რეალურად რა ხდება პროკურატურაში“. — ამბობს ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე, „კვირის ქრონიკასთან“ საუბრისას.**

**რას უნდა ელოდოს საზოგადოება პროკურატურისგან მომდევნო 5 წლის განმავლობაში და რაში ამხელენ მოქმედ პროკურორებს?**

**ზურაბ ჯორბენაძე:**

– სხვა საკითხია ის, რას გვაჩვენებენ, მაგრამ რეალური სურათი სულ სხვაა – როცა, 2012 წლამდე, ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ტოტალურ მოსმენებს, თვალთვალს, პოლიტიკურ პარტიებში ხალხის ჩანერგვას, შემდეგ მათგან არაკანონიერი გზით ინფორმაციის მიღებას და ეს მაღალ დონეზე იყო აყვანილი. რომელი სამსახურები აკეთებდნენ ამას? ამას აკეთებდა კუდ-ი, სოდ-ი და მთავარი პროკურატურა. ანუ ამ ყველაფერში თავად პროკურატურა იყო ჩართული. მე გეტყვით, უშუალოდ რა ჯგუფები ახორციელებდნენ ამ ყველაფერს:

საზედამხედველო სამმართველო, ვინც პროკურატურაში კურირებდა კუდ-სა და სოდ-ს და პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი მთლიანად იყო ჩართული იმ საქმიანობაში, რაც ზემოთ აღვნიშნე. 2006 წელს კუდ-ისა და სოდ-ის ამ საზედამხედველო სამმართველოში მუშაობა დაიწყო ირაკლი შოთაძემ. ამ განყოფილების პროკურორი ბრძანდებოდა ბატონი შოთაძე. ამის მერე გადაიყვანეს ბატონი შოთაძე ფინანსურში და დაინიშნა დავით გაგნიძის მოადგილედ. დავით გაგნიძე გახლავთ, მეტად ოდიოზური ფიგურა. ეს არის ადამიანი, რომელზე საშინელი პროკურორიც საქართველოს არ ჰყოლია. ამ ადამიანმა ისნის რაიონში ყველა გააუბედურა. ეს არის კაცი, რომელსაც ყველაფრის კადრება შეეძლო. აი, ამ ადამიანის მოადგილეები იყვნენ – ბადაშვილი, შოთაძე, ფარცხალაძე... კეზერაშვილის უწყება, იმ დროს, როცა კეზერაშვილი უკვე აღარ იყო უწყების უფროსი, ჩაბარებული ჰქონდა რამდენიმე ადამიანს. და უკვე ესენი ატყავებდნენ ხალხს – საუბარია იმათზე, ვინც მაშინ ბიზნესმენებს ქონებას ართმევდნენ, ატერორებდნენ და ა.შ. ეს საქმიანობა ჰქონდა ჩაბარებული გაგნიძეს. მისი მარჯვენა ხელი გახლდათ, მისივე კურსელი მამუკა გილიგაშვილი. მამუკა გილიგაშვილი ამჟამად არის კახეთის სამხარეო პროკურორი. ნახეთ, ახლა, რა მოხდა 2012 წლის შემდეგ, პროკურატურაში დაინიშნა სხვა ფიგურა. საუბარია, ბატონ არჩილ კბილაშვილზე, რომელმაც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობებს. მე მაშინ კბილაშვილს მოვუყევი, ვინ იყვნენ პროკურატურიდან სასწრაფოდ გასაშვები,

მაგრამ მან ეს ვერ გააკეთა, იმიტომ, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობდა, რომ ხალხის გამაუბედურებელი პროკურორები გაეშვათ პროკურატურიდან. ამ პროკურორების გაშვების ნაცვლად, ისევ და ისევ კბილაშვილი გაუშვეს და მოხდა კვლავ კეზერაშვილის კადრების აღზევება. შეხედეთ ქართული-ხალხური ანდაზაა – მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო... ამათზეა ნათქვამი. სწორედ ასეთ ადამიანებს აწერიათ ის საქმეები, რომლებშიც თავად მიუძღვით წვლილი. ესენი ხომ თვითონვე დასდევდნენ ხალხს ხმლებით, ამათთვის არ არსებობდა არანაირი ადამიანური ფასეულობა, მათთვის ყველაზე დიდი ფასეულობა იყოს ის, რასაც ადეიშვილი დაავალებდათ. ის, რაც ჩვენ პირებს უნდა მოესმინათ პროკურატურასთან დაკავშირებით, დახურული იყო, ანუ პროკურორობის ვერც ერთი კანდიდატის ხედვა პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებით ვერ მოისმინა საზოგადოებამ. არავინ იცის, ხვალ ან ზეგ როგორ აპირებს შოთაძე პროკურატურის რეფორმის გატარებას, აპირებს თუ არა იმ პროკურორების დასჯას, რომელთა მიმართაც არსებობს უამრავი კითხვა.

საპროკურორო საბჭოს – მასში შედის 8 მამალი „ნაციონალი“. გოჩა ფარულავა – ეს არის ადამიანი, რომელიც აჭარის პროკურორი იყო მაშინ, როცა შავი დღე ტრიალებდა „ნაციონალების“ ხელში. ისეთი გაუგონარი უკანონობები ხდებოდა მის ხელში, თმები ყალყზე დაგიდგებოდა. ეს ადამიანი არის დღეს საპროკურორო საბჭოს წევრი და უფრო მეტიც, შოთაძის ნათესავიც ყოფილა. ფარულავას რომ საბჭოს წევრად მინიშნავ, უტიფრობას მართლა არ აქვს საზღვარი, თუ რა ხდება?! ამის მერე, როგორ გინდა დააჯერო, რომ შენ ობიექტური იქნები?

გოჩა ფარულავა რის გამომძიებელია, ან ის 8 პროკურორი, რომელიც ამ საპროკურორო საბჭოში შედის, რისი მაქნისია? – წლებია, საჩივრები იწერება ამ პროკურორების მიმართ, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც კი არ წასულა წინ ეს საქმე. ასეთი ახალი პროკურორის შერჩევის პროცესში ვნახეთ, სამწუხაროდ, გახლდათ სახელისუფლებო ფარსი. ბატონი შოთაძე გახადეს მთავარი პროკურორი, ხაზს ვუსვამ – გახადეს!.. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას არ აწყობს სამართლიანობის აღდგენა, მითი, რომ მსგავსი რამ ხელისუფლების ინტერესში შედის, შოთაძის გაპროკურორებამ სამუდამოდ დაამსხვრია.

ტყუილად აქვს ხალხს იმის მოლოდინი, რომ ეს ადამიანი ობიექტური იქნება, იმიტომ რომ ის თავისი წარსულით იმ ხალხთანაა მიბმული, რომლებიც დანაშაულებრივად დაკავშირებული არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“. გარდა იმისა, რომ მის საქმიანობას წარსული განაპირობებს, ასევე არსებობს მეორე მხარეც. როდესაც ტარდებოდა პროკურორის შერჩევის პროცესი, ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულ სანამ ეს საკითხები დღის წესრიგში დგას, ბატონი შოთაძე ვერ იქნება ობიექტური. კიდევ ერთი საკითხია საშიში, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, მთავარ პროკურორს წარადგენს საპროკურორო საბჭო მინისტრთან ერთად, რომელიც შემდეგ პრემიერ-მინისტრს წარედგინება და პრემიერ-მინისტრი წარადგენს მას პარლამენტში დასამტკიცებლად. ამ ლოგიკით, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რამ – მომავალ არჩევნებამდე დარჩენილია დაახლოებით 10 თვე, თუ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ისევ არსებული ძალით დარჩება, გამოდის, რომ კიდევ 5 წელიწადი პროკურატურა ისეთივე უსამართლო იქნება, როგორიც დღეს არის.

ჩვენ გვყავდა ბევრი ადამიანი, რომელიც გაპროკურორების შემთხვევაში მართლაც იზრუნებდა სამართლიანობის აღდგენაზე, ერთ-ერთი ასეთი გახლდათ პაატა ცნობილაძე, მაგრამ არ მოხდა მისი წარდგენა. წინააღმდეგობა იყო შემდეგში: ცნობილაძე ყველა იმ პროკურორს გამოყრიდა პროკურატურიდან, ვინც დანაშაულს სჩადიოდა „ნაცმოძრაობის“ დროს. ნათელი გახდებოდა, რომ ნახევარი პროკურატურა დასაჭერი გახდებოდა, მაგრამ ჩვენ მივიღეთ პროკურატურაში შემდეგი სახის კოჰაბიტაცია – გვეყოლება „ნაციონალი“ პროკურორი, საპროკურორო საბჭო, რომელიც შედგება რვა მამალი „ნაციონალისგან“ და გარანტირებულად ის, რომ სამართლიანობა მინიმუმ 5 წელი არ აღდგება. ჩვეულებრივი ფარსი გრძელდება და ამას ისიც მოწმობს, მერაბიშვილ-ადეიშვილს ქონების უკანონო წართმევაზე რომ მიუსაჯეს, ვითომ რომ სქემა გაშიფრეს. საკითხავი რა არის, იცით? ეს მერაბიშვილი და ადეიშვილი რა, ხმლით დასდევდნენ ამ ბიზნესმენებს და ასე აშინებდნენ, ბიზნესი დაეთმოთ და წილები მიეტანათ? ის ადამიანები ამას ხომ ფინანსური პოლიციის მეშვეობით და იმ პროკურორების ხელით აკეთებდნენ, ვინც დღეს პროკურატურაში არიან თავმოყრილები. შეხსენებისთვის – დღეს შოთაძეს მთელი ფინანსური პოლიცია ჰყავს პროკურატურაში გადმოყვანილი, ყველა ის ადამიანი ჰყავს ირგვლივ შემოკრებილი, ვინც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში დანაშაულს სჩადიოდა და ვინ უნდა გამოიძიოს ეს ფაქტები?

**— თქვენ რას აპირებთ?**

– ჩემს სიტუაციაში ადამიანმა ან თავი უნდა დაღუნო, რომ ყველამ გირტყას, ან ქმედებაზე უნდა გადახვიდე და საზოგადებას უნდა დაანახო ის, რა არის სიმართლე, რასთან გვაქვს საქმე.

მომავალი კვირიდან დავიწყებ მხილებას ყველა იმ პროკურორის, რომელსაც დანაშაულში აქვს გასვრილი ხელი. თუ პროკურატურა ამ საკითხით არ ინტერესდება და არ უნდა, თავი შეიწუხოს, საქმეს გავუიოლებ მათ და თქვენი მეშვეობით საჯაროდ მივაწვდი ყველა კომპრომატს დამნაშავე პროკურორებზე. გარკვეული ინფორმაციები მეც მაქვს, გარკვეულს მომაწვდიან. ამის მერე გასცეს ხელისუფლებამ პასუხი ხალხს, რამდენად სჭირდება ისეთი პროკურატურა, როგორიც დღეს რეალურად გვყავს. დამიჯერეთ, ამას მოჰყვება სახალხო აჯანყება. ხალხი ჯერ კიდევ არ არის აზრზე, რომ ისინი მწარედ არიან მოტყუებულები. აი, ამ ინფორმაციებს რომ მიიღებენ და ნათლად დაინახავენ, რა პროკურატურა გვყავს რეალურად, ამის შემდეგ ისინი დარწმუნდებიან, რომ „ნაცმოძრაობა“ სამუდამოდ გაათეთრეს და მათი დანაშაულისთვის ხელის მოკიდების არანაირი სურვილი არ აქვს „ქართულ ოცნებას“.



**„დღეს შოთაძეს მთელი ფინანსური პოლიცია ჰყავს პროკურატურაში გადმოყვანილი, ყველა ის ადამიანი ჰყავს ირგვლივ შემოკრებილი, ვინც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში დანაშაულს სჩადიოდა და ვინ უნდა გამოიძიოს ეს ფაქტები?!“**





**„ჩვენ მივიღეთ პროკურატურაში შემდეგი სახის კოჰაბიტაცია — გვეყოლება „ნაციონალი“ პროკურორი, საპროკურორო საბჭო, რომელიც შედგება რვა მამალი „ნაციონალისგან“ და გარანტირებულად ის, რომ სამართლიანობა მინიმუმ 5 წელი არ აღდგება“**

# სააკაშვილმა ოთხი ურჩი მოსამართლე სასამართლოდან გააგდო...

**ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, მერაბ ტურავა კი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, რატომ არ აბრუნებს „ოცნება“ თამარ ლალიაშვილსა და მურმან ისაევს?**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



2006 წელს, მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა, იმჟამად უზენაესის მოსამართლე ლევან მურუსიძის ხელით, ოთხი მოსამართლე უკანონოდ გაუშვა სამსახურიდან. ნინო გვენეტაძის, თამარ ლალიაშვილის, მერაბ ტურავასა და მურმან ისაევის მთელი „დანაშაული“ ის იყო, რომ სააკაშვილის უკვე მოძლიერებული რეჟიმის დაკვეთებს არ ასრულებდნენ. მოსამართლეებმა აქ რომ ვერაფერი გააწყვეს, საერთაშორისო სარბიელზე დაიწყეს სამართლებრივი ბრძოლა საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, მათ შორის, სტრასბურგის სასამართლოში. 9 წლის შემდეგ, სტრასბურგის სასამართლომ ეს საქმე, როგორც იქნა, ადგილიდან დაძრა და ახლა საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს, ეს მოსამართლეები ძველ პოსტებზე დააბრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრასბურგი, დიდი ალბათობით, მათი სარჩელის განხილვას დაიწყებს და თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, ხელისუფლებას მაინც მოუწევს მათი დარღვეული უფლებების აღდგენა. ამ 4 მოსამართლიდან 2 დაუბრუნდა სასამართლო სისტემას. ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, მერაბ ტურავა კი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. გამოდის, რომ ხელისუფლებამ თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი უნდა დააბრუნოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად.

„ქრონიკა“ თამარ ლალიაშვილს ესაუბრა.

**— როგორ ფიქრობთ, იუსტიციის სამინისტრო აღგადგენთ ძველ უფლებებში, თუ უარს იტყვის და სტრასბურგის სასამართლო დაიწყებს თქვენი საქმის განხილვას?**

– იმედია, იუსტიციის სამინისტრო გაითვალისწინებს სტრასბურგის სასამართლოს ამ მოთხოვნას და ჩემთან და მურმან ისაევთან დაიწყებს კომუნიკაციას. ამ ეტაპზე არც მე და არც ბატონ მურმანს, სამინისტროს წარმომადგენელთაგან ჯერ არავინ დაგვკავშირებია.

**— სტრასბურგის სასამართლომ კონკრეტული ვადა დაუთქვა საქართველოს ხელისუფლებას?**

– თებერვლის შუა რიცხვებამდე აქვს ვადა მიცემული... ჩვენ, ოთხივენი, ვეწინააღმდეგებოდით ხელისუფლების დიქტატს სასამართლო ხელისუფლებაზე, რისი დამყარებაც კოტე კუბლაშვილის ხელით დაიწყო. არ ვასრულებდით არანაირ დაკვეთებს, არ გამოგვქონდა ისეთი გადაწყვეტილებები, როგორიც მათ მოეწონებოდათ. ჩვენ კანონით ვმოქმედებდით.

**— რამდენადაც ვიცი, ლევან მურუსიძე იყო თქვენი, ე.წ. დაუმორჩილებელი ოთხეულის მოსამართლე და მან გაგათავისუფლათ.**

– კი, ლევან მურუსიძე იყო ჩვენი საქმის მოსამართლე. მურუსიძე უზენაეს სასამართლოში ჩვენი და სულხან მოლაშვილის საქმეების გამო გადმოიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოდან. ორივე საქმე მას დააწერეს და პირნათლად შეასრულა ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა. ჩვენ, ოთხი მოსამართლე, ხომ გაგვათავისუფლა და სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით, ყველამ იცის, რა გადაწყვეტილებაც მიიღო. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი, მართალია, თითქმის მთელი 2 წელი ვიბრძოლეთ, 2004 წელს დაიწყო ეს ბრძოლა და 2006 წელს გაგვათავისუფლეს. სამართლებრივ პროცედურებს ვერ გასცდებოდნენ და ამდენ ხანს იმიტომ გაგრძელდა ეს პროცესი. თუმცა, ოთხივენი ვგრძნობდით, ბრძოლის იმ ეტაპს წავაგებდით. ეს წინასწარ ვიცოდით, რადგან მთლიან ხელისუფლებას დავუპირისპირდით. მე პირადად გერმანიაში ვიყავი მივლინებით, როცა კოტე კუბლაშვილმა – სასამართლოს თავმჯდომარემ დამირეკა და შემომთავაზა, განცხადება დამეწერა და ვითომ საკუთარი ნებით წავსულიყავი სამსახურიდან. ცხადია, სასტიკი უარი ვუთხარი. იქვე, გერმანიაში, ქალაქის მერიაში გავმართე პრესკონფერენცია და ვამხილე სააკაშვილის ხელისუფლება ზეწოლაში. პოლიტიკური დაკვეთების შესრულებაში. აი, ამის შემდეგ დაიწყო ის ხანგრძლივი ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ლევან მურუსიძეს პასუხს არავინ სთხოვს ჩადენილზე, ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირი, რომელიც წლების მანძილზე დაკვეთებს ასრულებდა, გვამებზე გადადიოდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დღეს მართლმსაჯულების მწვერვალად გვევლინება. ეს კი არა მხოლოდ ჩემს, არამედ უამრავი ადამიანის იმედგაცრუებას იწვევს, განსაკუთრებით იმ ადამიანების, ვინც მურუსიძის მიერ განხორციელებული უკანონობა და უსამართლობა გაიარა. როდემდე უნდა გაგრძელდეს, ვფიქრობ, მეტი ბრძოლაა საჭირო. მურუსიძე ცდილობს სასამართლო ხელისუფლება ხელში ჩაიგდოს და შემდეგ ისევ ძველ ბატონთა სამსახურში ჩააყენოს, სხვა გამორიცხულია. ის ყოფილი ხელისუფლების მარწუხებშია მოქცეული და კვლავ გააგრძელებს იმას, რასაც აკეთებდა.

**— მარტო ლევან მურუსიძეს კი არა, ბევრი ისეთ მოსამართლეს აქვს შეტანილი საკონკურსო განცხადება, ვინც წლების მანძილზე ფეხქვეშ თელავდა ადამიანის უფლებებს, უსიტყვოდ ასრულებდა ხელისუფლების ნებისმიერ დაკვეთას. მარტო მოსამართლეთა და პროკურორთა წინააღმდეგ, 20 000 განცხადებაა შესული პროკურატურაში, მათ კონკრეტული ადამიანები, კონკრეტულ სავარაუდო დანაშაულს ედავებიან. 400 000 გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი 9 წლის განმავლობაში, თითქმის ყველა მე-8 ადამიანი ნასამართლევია საქართველოში და ვისი ხელით კეთდებოდა ეს?!**

– კონკრეტული მოსამართლეებისა, ცხადია. პროკურატურამ უნდა გამოიძიოს ეს საქმეები და თუ მოსამართლეთა საქმიანობაში დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, უნდა დაიწყოს მათი სამართლებრივი დევნა კანონის ფარგლებში. არ შეიძლება, ყველაფრის პატიება ყველასთვის, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ყველამ უნდა აგოს საკუთარ ქმედებაზე პასუხი. ამ მოსამართლეებიდან ბევრი ისევ სასამართლო სისტემაშია. ლევან მურუსიძე და სხვა მისნაირები, დღეს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე გველაპარაკებიან, ეს ტრაგიკომედიაა, სხვა არაფერი. ლევან მურუსიძე არის კარგი შემსრულებელი, რომელმაც წინა ხელისუფლების ბევრი უსამართლო დაკვეთა შეასრულა და ფეხქვეშ თელავდა ადამიანის უფლებებს. ჩემი ვარაუდით, მას ახლა იმიტომ უნდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობა, რომ ის თანამდებობასაც შეინარჩუნებს და შეეცდება, თავისი კლანი სასამართლო სისტემაში გააძლიეროს და ახლა იქიდან მართოს სასამართლო. ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, 2012 წლის არჩევნებიდან 3 წლის შემდეგ ჩვენ ისევ საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლა დაგვჭირდებოდა და მურუსიძე მართლმსაჯულების მწვერვალად დარჩებოდა, ამას დავიჯერებდი?!. სამართლიანობის აღდგენის პროცესი რთული, ხანგრძლივია, მაგრამ უნდა დაიწყო, რომ სწრაფად დასრულდეს. თუ არ დაიწყე ეს პროცესი, ვერც ვერასოდეს აღადგენ სამართლიანობას, ეს პროცესი აქამდე უნდა დაწყებულიყო. ამ უმოქმედობის შედეგია ის, რომ სასამართლო სისტემაშიც, სხვა სახელისუფლებო შტოებშიც, ისევ ის ადამიანები არიან, რომელთაც, სავარაუდოდ, არაერთი დანაშაული აქვთ ჩადენილი და თან ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს. ამ 3 წელიწადში ყველაფერს ვერ მოასწრებდნენ, მაგრამ ეს პროცესი რომ დაეწყო ხელისუფლებას, ბევრის უფლება იქნებოდა აღდგენილი. ბევრი უკანონობის ჩამდენი მოსამართლე, რომლებიც კუბლაშვილებისა და მურუსიძის უკანონო დაკვეთებს ასრულებდნენ, დღეს, მინიმუმ, პასუხისმგებლობის წინაშე იდგებოდნენ. ცხადია, ამ ხელისუფლების ინერტულობაა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ თუ ვერ დაიწყო. თუ ეს ხელისუფლება სამართლიანობის პროცესის აღდგენას რეალურად არ დაიწყებს, უამრავი უფლებადარღვეული ადამიანის კეთილგანწყობა უკვე საბოლოოდ გაქრება. და შედეგები ისეთივე მძიმე იქნება, რაც სააკაშვილის რეჟიმს ჰქონდა. ხალხის ნდობა დღითი დღე იკარგება.








**მას ახლა იმიტომ უნდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობა, რომ ის თანამდებობასაც შეინარჩუნებს და შეეცდება, თავისი კლანი სასამართლო სისტემაში გააძლიეროს და ახლა იქიდან მართოს სასამართლო.**

# რატომ გაიფიცნენ იაშვილის კლინიკის ექიმები?!

ეთერ ბალაძე
593 15-64-47

დღევანდელმა ხელისუფლებამ მოსახლეობას თავის მოსაწონებლად საყოველთაო დაზღვევა შესთავაზა. სიხარულით გვაუწყეს, რომ ამიერიდან ყველა ადამიანს სახელმწიფო დააზღვევდა. 70%-იან სახელმწიფო დაზღვევას მოსახლეობის 30%-იანი თანადაზღვევაც დაემატა. თუმცა ფინანსურად ხელმოკლე ადამიანები თანადაფინანსების 30%-საც ვერ იხდიან. ახლა ჯანდაცვის სამინისტრო „ნაოცნებარ სიკეთესაც“ გვამადლის. დღეისთვის საყოველთაო ჯანდაცვით საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს. საყოველთაო დაზღვევამ სამედიცინო პერსონალიც დააზარალა, რადგან ჯანდაცვის სამინისტრო დღემდე უგვიანებს მათ ხელფასის გადარიცხვას. იაშვილის კლინიკის ექიმები ერთი კვირის წინ ჯაჭვური პრინციპით (მორიგეობით) გაიფიცნენ, ერთ ექიმს გულიც კი შეუღონდა, – აცხადებს „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში კლინიკის ერთ-ერთი თანამშრომელი. ექიმებს ამის შესახებ ხმამაღლა საუბარი რატომღაც არ სურთ. ექიმებიც, ისევე როგორც სხვა ადამიანები, ველარ უმკლავდებიან დღევანდელ დუხჭირ ყოფას. მით უმეტეს, როცა თვეობით იგვიანებს მათი ხელფასი.

**აი, რას აცხადებს იაშვილის კლინიკის პრესსამსახურის უფროსი თამუნა ჩეჩელაშვილი „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში:**

– კლინიკისთვის თანხის გადმორიცხვა დროულად ვერ მოხერხდა. ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკის ექიმებისთვის ხელფასი 10 ნოემბრისათვის უნდა გადმოერიცხა, თუმცა დაგვიანდა. ეს საბანკო ოპერაციების პრობლემა იყო და სხვა არაფერი. ამჟამად ეს პრობლემა მოგვარებულია. ექიმებს ხელფასები ჩაერიცხათ და პრეტენზიებიც აღარ აქვთ.

**სულ სხვა ინფორმაციას გვაწვდის იაშვილის კლინიკის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.**

**— აქ ერთი კვირის წინ ისეთი ამბავი იყო, ვერ წარმოიდგენთ. ექიმები გავიფიცეთ, 2-3 თვის ხელფასი არ აგვიღია. ყოველდღე კლინიკაში რომ მოვიდეთ, გზისა და საკვების ფული მაინც გვინდა. გარდა ამისა, ქმარშვილი შესანახი გვყავს.**

**— როგორც თქვენი პრესსამსახური აცხადებს, ხელფასები უკვე გადმორიცხული და დარიგებულია.**

– მხოლოდ ერთი თვის ხელფასი მივიღეთ, დანარჩენი თვეები რატომ არ დაარიგეს, ექიმებს ბანკის ვალები გვაქვს დასაფარი.

**იაშვილის კლინიკისგან განსხვავებით, პრობლემებზე საუბარს არ ერიდება ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე, პროფესორი გოგი ჩახუნაშვილი:**

**— იმისთვის, რომ ექიმმა პაციენტს სრულყოფილი მომსახურება გაუწიოს, თავად შესაბამის ხელფასს უნდა იღებდეს. დღეისთვის კი მივიღეთ ასეთი სურათი, ექიმი სახელმწიფოსგან კაპიკებს იღებს,**

რითაც შეუძლებელია არსებობა. ექიმიც ისეთივე ადამიანია, როგორც სხვები, მათაც აწუხებთ ყოფითი პრობლემები. ამიტომ ამ პრობლემას სერიოზული მიდგომა სჭირდება. ღმერთმა არ ქნას, რომ მშიერი ექიმის ჯიბეში ქრთამის სახით ფული გაჩნდეს.

**„კვირის ქრონიკას“ ჯანდაცვის სამინისტრომ კომენტარზე უარი მას შემდეგ უთხრა, როგორც კი საყოველთაო დაზღვევის თემა ვახსენეთ. ალბათ, იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი აქვთ. სამინისტროს კლინიკების დავალიანება აქვს, რომელსაც, სავარაუდოდ, ამ წელიწადში ვეღარ გაისტუმრებს.**

ალბათ, მკითხველმა კარგად იცის, 30%-ნი თანადაფინანსების პოლიტიკა. პაციენტი 30%-ს იხდის, სახელმწიფო კი – 70%-ს. მაშინ რა ქნას პაციენტმა, რომელსაც 30%-ის გადახდაც არ შეუძლია? ამ შემთხვევაში უკან გაბრუნება მოგიწევს. ეს ქალბატონი მცირეწლოვანი შვილთან ერთად კლინიკაში ფილტვების ანთებით მივიდა, მას 30%-იანი თანხის გადახდა მოსთხოვეს:

– ოჯახის ექიმმა ჩემი შვილი გასინჯა, ახლა რენტგენოლოგია უნდა ჩაუტარდეს, შემდეგ ისევ ექიმმა უნდა გასინჯოს. საერთო დაზღვევაში მთლიანი დაფინანსება არ შედის. იძულებული ვარ, საჭირო თანხა ვისესხო, ეს რაღა დაზღვევაა. როცა სახელმწიფო 30%-ს გვახდევინებს. საიდან მოვიტანოთ ეს თანხა, ამაზე კი აღარ ფიქრობენ.

**საქართველოში ყოველდღე 250 ათასი ბავშვი შიმშილობს**

**პროექტი „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“**

საქართველოში ბავშვთა დაავადებებმა და სიკვდილიანობამ იმატა. არადა, რატომღაც ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობს. ბავშვთა შიმშილობის მასშტაბები და ციფრები მართლაც საგანგაშოა. მედიკოსები ბავშვთა დაავადებებისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბავშვებისა და დედების არასრულფასოვან კვებას ასახელებენ. „იუსაიდის“ გამოკვლევებით, საქართველოში შიმშილისგან ყოველწლიურად 300 ბავშვი იღუპება. 250 ათასი ბავშვი კი შიმშილობს. გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) კვლევის მიხედვით

**საქართველოში ნახევარ მილიონ ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებსა და დედებს კვების დეფიციტი აქვთ. ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზეც ითქვა, რომელიც „ბავშვთა ზრუნვის“ პროგრამის მიმდინარეობას მიეძღვნა. თუმცა, ესეც საჩვენებელი ზრუნვაა ბავშვებზე და სხვა არაფერი, სხდომებსა და კონფერენციებზე...**

„იუნისეფის“ კვლევა აღწერს კვების დარღვევასთან დაკავშირებული ეროვნული ზარალის მასშტაბს, აღსანიშნავია, რომ დედის ანემიის, მცირე წონის, ფოლიუმის მჟავის ნაკლებობასთან, დაკავშირებული თანდაყოლილი ანომალიისა და არასაკმარისი ძუძუთი კვების გამო, ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 300 ბავშვი იღუპება. ასევე, მნიშვნელოვანია კვების დეფიციტი, რომელიც ბავშვის ზრდაში ჩამორჩენას იწვევს. საკვები ელემენტების დეფიციტი ბავშვების განვითარებას ხელს უშლის. რის გამოც ქვეყანა პროდუქტიულ მუშახელს კარგავს. კვების დეფიციტში ვგულისხმობთ არა საკვების ქონა-არქონას, არამედ ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი მიკროელემენტებისა და ვიტამინების ნაკლებობას. რაც ბავშვებსა და ქალებში მძიმე შედეგის მომტანია. არსებობს რეკომენდაციები, რა უნდა გაკეთდეს კვების დეფიციტის ზიანის შესამცირებლად. მაგალითად, ვიტამინებით გაჯერებული საკვები დანამატი და პურის გამდიდრება რკინით“, – განაცხადა გაეროს ფონდის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელმა მაია ქურციკიძემ.

„იუნისეფის“ ამ სკანდალური დასკვნის მიხედვით, ბოლო 10 წლის განმავლობაში, კვების დეფიციტმა ქვეყანას 1,3 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა და საერთოდ ჯამში, 4 300 ახალშობილის სიცოცხლე შეიწირა.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე „იუსაიდის კვლევების გაცნობის შემდეგ აცხადებს: „საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემებია, რაც ბავშვთა პრობლემის მოგვარების გარეშე ვერ გადაიჭრება“.

საინტერესოა, ვინ უშლის ხელს დღევანდელ ხელისუფლებას ბავშვთა პრობლემების მოგვარებაში? სამთავრობო გამოსვლების დროს ხშირად საუბრობენ ქამრების შემოჭერაზე. საკითხავია, ჩვენს ჩინოვნიკებს ქამრები უკეთიათ თუ მოიხსნეს? თუ რესტორნებში გადამძღარები იხსნიან? როცა მიღება-წვეულებებში ათასებს ხარჯავენ, მაშინ რატომ არ ახსენდებათ, რომ ქვეყანაში ოფიციალურად 250 ათასი ბავშვი შიმშილობს? აქედან კი ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 300 ბავშვი იღუპება?!





**ალბათ, მკითხველმა კარგად იცის, 30%-ნი თანადაფინანსების პოლიტიკა. პაციენტი 30%-ს იხდის, სახელმწიფო კი — 70%-ს. მაშინ რა ქნას პაციენტმა, რომელსაც 30%-ის გადახდაც არ შეუძლია?**



**საკითხავია, ჩვენს ჩინოვნიკებს ქამრები უკეთიათ თუ მოიხსნეს? თუ რესტორნებში გადამძღარები იხსნიან? როცა მიღება-წვეულებებში ათასებს ხარჯავენ, მაშინ რატომ არ ახსენდებათ, რომ ქვეყანაში ოფიციალურად 250 ათასი ბავშვი შიმშილობს? აქედან კი ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 300 ბავშვი იღუპება?!**






**ვინ უშლის ხელს დღევანდელ ხელისუფლებას ბავშვთა პრობლემების მოგვარებაში?**



გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

# „ნაციონალი“ პარლამენტარები არიან თუ არა აზრზე, რომ ერთ ადგილს რუსული ქაღალდით აწმენდინებენ? ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ რაღაც ზომები უნდა მიიღონ — უარი თქვან ტუალეტის ქაღალდის ხმარებაზე!

ამას წინათ ვწერდი, საქართველოს პარლამენტი ასი ათასობით ლარს ხარჯავს პირადი ჰიგიენის საგნებსა და თაიგულებზე-მეთქი. მაშინ ცოტა გავლიზიანდი, მაგრამ მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ვცდებოდი. აბა, როგორ გინდათ, ქეიფისა და „ვარხ-ალალოს“ ქვეყანა ვართ და ამის შემდეგ ხომ არის საჭირო ტუალეტის სურნელოვანი ქაღალდი, ჩვეულებრივი სურნელოვანი საპონი და ასევე სურნელოვანი თხევადი საპონი? ეგრეა, ზოგს მყარი საპონი უყვარს, ზოგს კიდევ თხევადი. ის დრო წავიდა, ჩვენი წინაპრები ხელ-პირის დასაბანად ნაცარს რომ ხმარობდნენ. მოკლედ, უნდა გაგახაროთ, წელს ტუალეტის ქაღალდისა და საპნის მხრივ საქართველოს პარლამენტში პრობლემა არ გვქონია, პერიოდულად ვყიდულობდით და, საბოლოო ჯამში, დავხარჯეთ 84 ათასი ლარი. უბრალოდ, აქ ერთი რამ მაეჭვებს: დოკუმენტების მიხედვით, შესყიდვის დროს მომწოდებელს უნდა გაეთვალისწინებინა ერთი აუცილებელი ფაქტორი – „ტავარი“ უნდა ყოფილიყო სურნელოვანი. ჰოდა, ახლა ვფიქრობ, რაში გამოიხატება „სურნელი“, ან ვინ ამოწმებს, როგორ ამოწმებს, უბრალოდ სუნავს თუ გემოსაც უსინჯავს? ასეც რომ იყოს, მაინც წინააღმდეგობაში ვვარდებით, რადგან ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს – მღვდლის ცოლი, ანუ ზოგს ფორთოხლის სუნიანი ტუალეტის ქაღალდი ევასება, ზოგს – ლიმონისა, ზოგს კიდევ – გვირილისა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ხშირად სხვადასხვა სურნელი ადამიანებში ალერგიას იწვევს. პრინციპში, მე პირადად ასე წარმომიდგენია: ესე იგი,

**პარლამენტში პერიოდულად იმართება ფრაქციების ფარული სხდომები და იქ ადგენენ, ვის რომელი სახის სურნელოვანი ქაღალდი ან საპონი მოსწონს. კიდევ ერთი საიდუმლო, რომელიც დოკუმენტების მიხედვით მჟღავნდება: ტუალეტის ქაღალდი აუცილებლად უნდა იყოს თეთრი, სიგრძე — 200 მეტრი, სიგანე — 9,9 სანტიმეტრი, მწარმოებელი — რუსეთი. ოპააა... ეს არის ჩვენი ევროპული ორიენტაცია? ამის შემდეგ ამბობთ, რუსეთთან არაფერი გვაკავშირებსო?**

მე არ ვიცი, „ნაციონალი“ პარლამენტარები არიან თუ არა აზრზე, რომ ერთ ადგილს რუსული ქაღალდით აწმენდინებენ, მაგრამ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ რაღაც ზომები უნდა მიიღონ – ან უარი თქვან ტუალეტის ქაღალდის ხმარებაზე და გადავიდნენ ევროპულ „შკურკაზე“ (ევროპული „შპალერიც“ წავა), ან კიდევ გიორგი კანდელაკმა აფრინოს წერილი ბრიუსელში. თუკი სურნელოვანი თხევადი საპონი შემოგვაქვს ბულგარეთიდან, რატომ ვერ ვახერხებთ ამას ტუალეტის ქაღალდის შემთხვევაში, ხომ არ გვაქვს საქმე ერთი ადგილით ორიენტაციის შეცვლასთან? გამოგიტყდებით, ეს ძალიან რთული თემაა, ახლა უკვე საჭიროა პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა, რათა ყველაფერი დადგინდეს და დამნაშავე დაისაჯოს. ყველაფერს დავანებოთ თავი, ფულსაც, ზომასაც და ორიენტაციასაც, ხომ შეიძლება, რუსებმა ტუალეტის ქაღალდი ისეთი „სურნელოვანი“ ნივთიერებით გაჟღინთონ, საკანონმდებლო ორგანოში მასობრივი „ბუასილიზაცია“ დაიწყოს? ალბათ, გახსოვთ, ამ ზაფხულს რამდენიმე დეპუტატს ფაღარათი რომ დაემართა და ყველაფერი საზამთროს დააბრალეს. ახლა ხვდებით, საიდან შეიძლებოდა დაწყებულიყო მასობრივი „ფაღარათიზაცია“? ხალხო, თუ რუსულ პოლიტიკას არ ენდობით, თუ რუსეთი დამპყრობელია, მაშინ რანაირადღა ხმარობთ რუსულ ქაღალდს? არა, არ გამოვრიცხავ, რომელიმე დეპუტატმა თავი იმართლოს, ამით რუსეთს ვუხდით სამაგიეროს, როგორც 2008-ში ამოგვისვეს ერთ ადგილას, ჩვენც ასევე ვისვამთ მაგათ ნაწარმს ერთ ადგილასო, ამაში მართლაც არის რაღაც რომანტიკა, მაგრამ ამავე დროს საქმე გვაქვს ძალიან დიდ საფრთხეებთან. ბოლოს და ბოლოს, იმაზე მაინც თუ გიფიქრიათ, რომ ბოლო დროს ბევრი დეპუტატი უცნაურად ლაპარაკობს და ზოგს სტალინიც კი ელანდება? მოკლედ, არ ვიცი, ამდენი შტატგარეშე ხალხი რომ ჰყავთ გაფორმებული პარლამენტში, დაამატონ ათიოდე უშტატო ან შტატიანი პროქტოლოგი და დააწესონ სადღელამისო მორიგეობა. აგერ, მოგვადგა კარს 2016 წლის არჩევნები, ყველა უბედურებასთან ერთად კიდევ მასობრივი „ტრაწიანობა“ გვინდა?!

გადავიდეთ თაიგულებზე... ვფიქრობ, აქ უფრო რთულადაა საქმე. საქართველოს პარლამენტის აპარატი ყვავილების თაიგულების (03121210) გამარტივებული ელექტრონულ ტენდერს აცხადებს კვარტალში ერთხელ, ანუ წელიწადში ოთხჯერ იდება ხელშეკრულებები ხან ქსენიასთან, ხან კიდევ მაროსთან. აქ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა გასათვალისწინებელი: მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით დაბალი უნდა იყოს სავარაუდო საბაზრო ფასთან შედარებით. რამდენიმე „სასწაული“ ხელშეკრულებიდან (სტილი დაცულია):

„შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში. მოთხოვნა განხორციელდება ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მიმწოდებელს მუდმივად (კვირაში 7 დღე 24 საათის განმავლობაში) ჩართული უნდა ჰქონდეს საქართველოს არანაკლებ ორი სხვადასხვა ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის ტელეფონის ნომერი. ფიჭურ ტელეფონზე განხორციელებული მოთხოვნის ზარი ჩაითვლება ოფიციალურ მოთხოვნად. ასევე, ფიჭურ ტელეფონზე ან ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურ მოთხოვნად“.

**გეუბნებით, ეს ძალიან მაგარი ხელშეკრულებაა, რომლის ნიმუშიც აუცილებლად გამოგვადგება 2016 წლის არჩევნებში — ესე იგი, დეპუტატობის ყველა კანდიდატს, რომლებიც მოგვადგებიან, ხმები მოგვეცითო და ათას რამეს დაგვპირდებიან, გავუფორმოთ ხელშეკრულება, სადაც ჩაიწერება მსგავსი მუხლები, ანუ მათ კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეთ 2 ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში ზუსტად ჩაიწერება დანაპირების შესრულების ვადები და ისიც, რა მოხდება შეუსრულებლობის შემთხვევაში.**

ახლა კი დადგა დრო, ძვირფასო მეგობრებო, გავარკვიოთ, რა თაიგულებს ყიდულობენ ჩვენი დეპუტატები, ვის ადებენ გულზე და რაც მთავარია, რამდენი გვიჯდება ეს ყველაფერი? დოკუმენტაციაში იმდენი თაიგული და „ვენოკია“ დაფიქსირებული, შეიძლება იფიქროთ, მთელი საქართველო ამოწყვეტილაო, მაგრამ არ ინერვიულოთ, უბრალოდ გავყვეთ ნუსხას (ნაწილს მაინც) და გავიგოთ, რასთან გვაქვს საქმე: 2015 წელი. „ყვავილების მისართმევი თაიგული, დიამეტრი – 60-65 სმ. სიგრძე – 50-55სმ. გაინტერესებთ, რა შედის ამ თაიგულში? ვარდი – 8 ცალი, ლილია – 3 ტოტი, ქრიზანთემა – 4 ტოტი, გიფსოფილა – 3 ტოტი, ატლასის ბაფთა. 1 ცალი თაიგული გვიჯდება, საშუალოდ, 40 ლარი. თუმცა გააჩნია თაიგულს, თუ ორიოდე სხვა ყვავილსაც ჩაამატებენ, ეს უკვე 55-60 ლარზე ადის. სამწუხაროდ, დოკუმენტებში დაფიქსირებულია „უნამუსო“ ფაქტებიც – მაგალითად, არის იაფფასიანი თაიგული, რომელიც შედგება ქრიზანთემისა და ვარდისგან. ფასი – 5 ლარი. ნაყიდია 5 ცალი და გადახდილია 30 ლარი. ჰოდა, თავზე დავაფსი ისეთ დეპუტატს, რომელიც საკუთარ ჯიბეში ხელს არ იყოფს, პარლამენტის ბუღალტერიაში შედის და განცხადებას წერს, 5-ლარიანი თაიგულის საყიდლად ფული მომეცითო. აეგრე, ახლა არც ზრდილობა მაწუხებს, არც ჟურნალისტური ეთიკა და პირდაპირ ვაცხადებ: დავაფსი პირდაპირ თავზე!!!

**არა, მართლა გული მწყდება, ამ დღეებში საგანგებოდ გადავათვალიერე (როგორც შევძელი) ამერიკასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებული ოფიციალური ღონისძიებების ვიდეოები და ვერსად ვერ აღმოვაჩინე თაიგულები. არსებობს გერბი, დროშა, ჰიმნი, სადილი, მორჩა. ახლა ვნახოთ, რა სახის ყვავილებს ვყიდულობთ ტონობით, ანუ რისთვისაა განკუთვნილი? პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ეს არის მისართმევი თაიგულები; მეორე — სარიტუალო გვირგვინი ატლასის ლენტით, სიმაღლე — 170 სმ. სიგანე — 60 სმ. არის 950-ლარიანები, 1025-ლარიანები, 1150-ლარიანები და ასე შემდეგ. გააჩნია, რა წონის პიროვნება გარდაიცვლება; მესამე — მაგიდის კომპოზიცია, რომელიც, საერთო ჯამში, ჯდება 1200 ლარი. ესე იგი, ჩატარდება რაღაც ღონისძიება, მაგიდებზე დაალაგებენ ყვავილებს, გადაიხდიან ამდენ ფულს, ერთ-ორ საათში ყველაფერი მორჩება და „ვსიო“, წავიდა ეს ყვავილები ნაგავში. ჰო, ხშირად ასეთ ღონისძიებებზე აცხადებენ ხოლმე, პენსიების მომატება შეუძლებელია, ბიუჯეტი არ გვაძლევს ამის საშუალებასო; მეოთხე — კოქტეილის დეკორაცია, სადაც ძირითადად გამოიყენება სეზონური ყვავილები. თითო ცალის ფასია 40 ლარი, პერიოდულად გვჭირდება ხოლმე 800 ლარის; მეხუთე — კომპოზიცია ტრიბუნის ქვეშ. აი, პარლამენტის ტრიბუნის ქვემოთ რომ ყვავილები ულაგიათ, ეგაა. თითო თაიგული ღირს 100 ლარი, გვჭირდება 2000 ლარის. მეექვსე — პარლამენტში შესასვლელის კომპოზიცია. სეზონური ყვავილები. სულ 680 ლარის; მეშვიდე — კომპოზიცია შანდალზე. ნამდვილად არ ვიცი, რა შანდალზეა საუბარი... როგორც ჩანს, პარლამენტში შანდალიც აქვთ, რომელიც გაფორმებულია სეზონური ყვავილებით. სავარაუდოდ, ამ ადგილას ლოცულობენ ჩვენი დეპუტატები მამულზე, ენაზე, სარწმუნოებასა და ევროპულ ორიენტაციაზე. ამ ეტაპზე ამ „სიამოვნებაში“ სულ გადაყრილი გვაქვს 15 ათასი ლარი. როგორც ქალბატონი გუგული მაღრაძე ამბობს, ეს არის 15 ათასი პური. მე კი დავამატებ, რომ ეს გახლავთ ზუსტად 30 ათასი ხინკალი.**

დაბოლოს, მაქვს რაციონალური რჩევა: პატივცემულო პარლამენტარებო, ან საკუთარი ხარჯებით იარეთ ქელეხებში, დაბადების დღეებსა და ქორწილებში (რის იმედიც არ მაქვს), ან კიდევ გადადგით ორი ნაბიჯი კოლმეურნეობის მოედნამდე, ყვავილების ბაზრობამდე, სადაც ვარდ-ყვავილები და „ვენოკები“ ძალიან იაფად ყრია. ისე, თქვენს ხელში თაიგული არასოდეს მინახავს, ნეტა ამ საქმისთვისაც თანაშემწეები ხომ არ გყავთ გაფორმებული? რა ვიცი, რა ვიცი, თქვენსას რას გაიგებს ნორმალური ადამიანი?!






**ხომ შეიძლება, რუსებმა ტუალეტის ქაღალდი ისეთი „სურნელოვანი“ ნივთიერებით გაჟღინთონ, საკანონმდებლო ორგანოში მასობრივი „ბუასილიზაცია“ დაიწყოს? ალბათ, გახსოვთ, ამ ზაფხულს რამდენიმე დეპუტატს ფაღარათი რომ დაემართა და ყველაფერი საზამთროს დააბრალეს. ახლა ხვდებით, საიდან შეიძლებოდა დაწყებულიყო მასობრივი „ფაღარათიზაცია“?**

# კრიმინალური ისტორიები

# როგორ ჩაუგდეს უსისხლო ოპერაცია დემურ მიქაძეს ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა?

ქეთევან ჩემია
599 57 12 90



1977 წლის მარტში საქართველოს ცეკამ მიიღო დადგენილება „შინაგან საქმეთა ორგანოების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის თაობაზე“ და შს ორგანოებში სამუშაოდ გაიგზავნა სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა ჯგუფი, რომელთა შორის იყო დემურ მიქაძე – მარნეულის რაიკომის მაშინდელი მდივანი და დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს „ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის“, იმ დროს „ობხეესის“ სახელით ცნობილი განყოფილების უფროსად. მოვალეობაში შედიოდა წვენების, ღვინის, ხორცისა და სხვა პროდუქტების ფალსიფიცირებული დამზადების წინააღმდეგ ბრძოლა.

ცოტა ხანში კი მიქაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. ქალაქის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს სათავეში ედგა პოლიციის პოლკოვნიკი რომან გვენცაძე. იმ პერიოდში დემურ მიქაძე „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა ოპერატიულ დარგში. იმ დროს უკავშირდება ძალზე ბევრი გახმაურებული მოვლენა, ზოგიერთ მათგანზე წიგნებიც დაიწერა. მაგრამ ეს ერთი, რაზეც ლეგენდები დადიოდა, სრულიად სხვა სახისა და მეტად ეფექტური „სისხლის სამართლის საქმე“ გამოდგა: მოხდა ისე, რომ თბილისში ერთმანეთის მიყოლებით სამი საიუველირო მაღაზია გაქურდეს და, საერთო ჯამში, 12 კილოგრამი ოქრო გაიტაცეს. ფეხზე იდგა მთელი მილიცია. დაადგინეს, რომ დანაშაული ერთი და იგივე ჯგუფის მიერ იყო ჩადენილი და მას თბილისელი ე.წ. „კანონიერი ქურდი“ „შურიკა“ ხელმძღვანელობდა... დეტალები დღემდე უცნობია, თუმცა, ეს „ოპერაცია“ ოპერატიულ საქმიანობაში უპრეცედენტო მოვლენად აღიარეს და მონაწილეებმა უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები მიიღეს. ცნობილია, რომ მაშინ გამოავლინეს დამნაშავეები და არამარტო დააკავეს „შურიკა“ და მისი ბანდის წევრები, ამოიღეს გატაცებული ოქროც... თუმცა, ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, რამდენიმე წლის შემდეგ, 1993 წლის თებერვალში მოხდა.

შს სამინისტროს დედაქალაქის მთავარ სამმართველოში დილის 6 საათზე შევიდა შეტყობინება, რომ კრწანისის რაიონში სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა შ.გ.-ს ოჯახს, სადაც მხოლოდ დედა და 12 წლის შვილი იმყოფებოდნენ. მოძალადეებს, როგორც ჩანს, წინააღმდეგობა შეხვდათ ოჯახის დიასახლისისგან და საეჭვო ხმაურზე მეზობლებმა მილიციაში დარეკეს. ოპერატიული ჯგუფი სულ რამდენიმე წუთში ადგილზე გაჩნდა და ალყა შემოარტყა შენობას.

მძარცველებმა პოლიციელების ალყის შესახებ მაშინ გაიგეს, როცა რუპორში გაისმა: „ალყაში ხართ, კარი გაგვიღეთ და დაგვნებდით!“, რომელსაც ბინიდან სიჩუმით უპასუხეს. ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ ბანდიტებმა ბინის მეპატრონე შ.გ. 12 წლის გოგონასთან ერთად მძევლად აიყვანეს და სამართალდამცავებს დაემუქრნენ, თუ გზას არ გაუხსნიდნენ და წასვლის საშუალებას არ მისცემდნენ, ორივეს ადგილზე დახოცავდნენ. ამ დროს შემთხვევის ადგილზე უკვე მისულები იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა, მათ შორის თემურ ხაჩიშვილი – მინისტრი, მიხეილ ოსაძე – მინისტრის პირველი მოადგილე, დემურ მიქაძე – შსს სისხლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი, დავით ზეიკიძე – თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, ვახტანგ გვარამია – იმჟამინდელი გენერალური პროკურორის მოადგილე.

მძევლად აყვანის ფაქტი, ცხადია, მაშინვე გახმაურდა და ბანდიტების მიერ მძევლად აყვანილი დედა-შვილის „დასახსნელად“ გამოემართა იმჟამად საქართველოში არსებული შეიარაღებული ფორმირებების მთელი „სპექტრი“, თავდაცვის სამინისტროსა და „მხედრიონის“ სრული შემადგენლობა და ტანკებით, „ბეტეერებით“, ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა – საომარ პოზიციაში მყოფმა მათმა რაზმებმა მთლიანად დაიკავეს მიმდებარე ქუჩები..

კორპუსის ქვედა სართულზე მძევლებთან ერთად გამოკეტილ ბანდიტებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის ტელეფონის საშუალებით მოლაპარაკება მიდიოდა ამავე შენობის ზედა სართულის ერთ-ერთი ბინიდან, სადაც შევიდნენ თენგიზ კიტოვანი – გენერალი, თავდაცვის მინისტრი, მრავალრიცხოვანი დაცვით; ჯაბა იოსელიანის მიერ წარგზავნილი ლონგი ჭელიძე; იგორ გიორგაძემ, თითქოს ვინმე აკლდა იქაურობას, ასევე კბილებამდე შეიარაღებული სპეცდანიშნულების ჯგუფი გამოგზავნა... ბლომად იყვნენ სხვებიც... საფრთხე იყო, რომ ეს შეიარაღებული დაჯგუფება ცეცხლს გახსნიდა და ბანდიტებთან ერთად დედა-შვილიც ჩაიცხრილებოდა...

მოსულებში არასასურველი აგრესია და გაღიზიანება რომ არ გამოეწვიათ, შს სამინისტროს თანამშრომლები სიფრთხილით უხსნიდნენ, რომ მძევლები მოლაპარაკების გზით უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა ვერ აგებინებდნენ... სთხოვდნენ, ეხვეწებოდნენ, აფრთხილებდნენ, ან თავად ნელ-ნელა „დაემუშავებინათ“ ბანდიტები, დანებებოდნენ სამართალდამცავებს, ან მიეშვათ ისინი... მაგრამ არც თავად შეეძლოთ მომგებიანი პოზიციის დაკავება, არც მილიციას აცლიდნენ... ამასობაში ძალოვნებმა ერთ-ერთი ბანდიტის ვინაობა დაადგინეს და ხელმძღვანელობას აცნობეს, რომ ამ ბანდიტის დედა მოიყვანეს შვილთან დასალაპარაკებლად.

თბილისში დღესაც ბევრს ახსოვს ეს სცენა, როცა ხანშიშესული, დამფრთხალი, გაუბედურებული ქალი მეზობელი ბინის აივნიდან შვილს დაჩოქილი ევედრებოდა, ჩაბარებოდა სამართალდამცავებს, არ დაეღუპა არც თავისი თავი და არც სხვები... თუმცა, უშედეგოდ. ფაქტი იყო, რომ დედა შვილის ბოროტების წინააღმდეგ ვერაფერს გახდა და ათასი ჯურის „სამხედრო ფორმირებების“ რაზმების წევრებში გაიზარდა აგრესია, რისი გაჩერება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, მდგომარეობა იმდენადაც დაიძაბა, აშკარა იყო, ცოტაც და უმართავი გახდებოდა. სროლის პოზიციას უფრო და უფრო მეტი დამსწრე იზიარებდა, მათ შორის დავით ზეიკიძეც. ისინი ბინაში შეჭრას და იარაღის გამოყენებით „მძევლების განთავისუფლებას“ აპირებდნენ.

თენგიზ კიტოვანმა მოითხოვა, მისთვის მიეცათ ტელეფონის ყურმილი და როგორც კი საშუალება მიეცა, ულტიმატუმი წაუყენა ბოროტმოქმედებს – მუქარამ არ გაჭრა... ჯაბა იოსელიანი იქ არ მისულა, საკუთარი კაბინეტიდან, ასევე, ტელეფონით ჩაერთო მოლაპარაკებებში: ბანდიტებს უთხრა ვინც იყო, თბილად მიმართა, ურჩია, ნებაყოფლობით გაეთავისუფლებინათ მძევლები... არც ამან გაჭრა... დრო მიდიოდა, ვითარება უფრო და უფრო იძაბებოდა. „სამხედროებმა“ და სხვებმაც ნახეს, რომ ჩიხში მოექცნენ – ამოწურეს საკუთარი მცდელობები და მილიციელები მიუშვეს „მოლაპარაკებებზე“. ეს თავის თავზე აიღეს მიხეილ ოსაძემ და დემურ მიქაძემ. თითქმის ხუთსაათიანი „მძიმე“ საუბრის შემდეგ შეთანხმდნენ: ბანდიტები ბინაში დატოვებდნენ გოგონას, დიასახლისთან ერთად გარეთ გამოვიდოდნენ, შენობიდან ასე 100-150 მეტრით მოშორებულ ფარეხში შევიდოდნენ, მძევალი შ.გ. საჭესთან დაჯდებოდა, ავტომანქანას გამოიყვანდა და ოთხივენი ფონიჭალარუსთავის გზატკეცილის მიმართულებით წავიდოდნენ, სადაც ავტომანქანიდან გადმოვიდოდნენ და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ მყოფთაგან არავინ უკან არ უნდა გაჰყოლოდათ.

ბინის კარი გაიღო და ნიღბიანი ორი ბანდიტი ახალგაზრდა ქალს აქეთ-იქიდან გვერდში ამოუდგნენ, მათ შორის ერთს შემართული ავტომატი ეჭირა ხელში; მესამე უკან მისდევდათ ქალისთვის კეფაში დამიზნებული იარაღით; მძევალმა და ბანდიტებმა აღმართი „მშვიდობიანად აიარეს“ და ფარეხთან მივიდნენ. მთელი ეს გზა დემურ მიქაძე არ მოშორებიათ, ჯერ კვალდაკვალ მისდევდათ, მათი ფარეხში შესვლისა და გამოსვლის წუთებში კი მათკენ ზურგშექცევით, ირგვლივ შემოწყობილ „ფორმირებების“ პირისპირ ისე დადგა, მთელი გამოწვევა საკუთარ თავზე აიღო; ფარეხიდან მანქანის გამოსვლამდე და შემდეგაც შორიახლოს მისდევდა მას დემურ მიქაძე და ქუჩის ორივე მხარეს შეკრებილ იარაღმომარჯვებულებს მთელ ხმაზე უყვიროდა: „არ ესროლოთ, არ ესროლოთ! არ ისროლოთ!“ ცოტაც და მანქანა უსაფრთხო ადგილისკენ გადაინაცვლებდა. ქალი, რომელსაც შვილი უკვე უსაფრთხოდ ეგულებოდა, აშკარად მშვიდად მართავდა საჭეს... – აბა, შენი იცი, შორენა! – პირველად ამ ხნის განმავლობაში გაისმა ქალის სახელი „გასუსულ“ გარემოში და... სახელთან ერთდროულად აღმოხდა – ღმერთო კი მომკალი! – და წელში მოკეცილმა დემურ მიქაძემ ფეხებზე დაიშინა ხელები.







გამართლდა საფუძვლიანი შიში, რომ რამდენიმესაათიანი უქმად ყოფნით უკიდურესად გაღიზიანებული ასობით შეიარაღებული ჯარისკაციდან რომელიმე ერთს, თუნდაც შემთხვევით არ მოეხდინა გასროლა, რადგან მისი გაჩერება შემდეგ უკვე აღარაფერს შეეძლო... და ის საბედისწერო გასროლაც, ავტომატის კაკანიც გაისმა და თითქოს ნიშანი მისცესო, ფარეხის ზემოთ ბექობზე „განლაგებული“ შეიარაღებული ჯგუფიდან ავტომატის ტყვიების ჯერი წამოვიდა, რომელსაც ახლომახლო ასევე ასობით სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლმა იარაღმა „უპასუხა“... უმისამართო თუ მიზანში სროლისგან დაცხრილული ავტომანქანა ინერციით ერთხანს განაგრძობდა მოძრაობას...

მოგვიანებით, დემურ მიქაძე ამბობდა, რომ უჭირდა იმის დაჯერება, რომ ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა. „ტყვიების წვიმაში“ იდგა გახევებული. მცდელობა, რომ „ოპერაცია“ უსისხლოდ დამთავრებულიყო, კრახით დასრულდა.

ახლომახლო მდგარი რომელიღაც მილიციელი ელვის სისწრაფით მივარდა ავტომანქანასთან, ნახევრად ღია კარიდან ტყვიებით დაცხრილული შორენას ცხედარი გადმოათრია და იქაურობას გაარიდა... რამდენიმე წუთში მანქანა აფეთქდა...

იმ დღეს უმისამართო სროლების შედეგად მძიმედ დაიჭრნენ უშიშროების სამსახურის ერთი და მილიციის ორი ოფიცერი... 12 წლის გოგონა გადარჩა... თუმცა დაობლდა!

# რა ლექსებს უწერენ კოკელ ვაიმერ ნარმანიას?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

მაგდანას ლურჯა გახსოვთ? კი, ალბათ, გახსოვთ, ამ ლეგენდარულ ფილმს რა დაგავიწყებთ? ვუყურებ თბილისის მერის, დავით ნარმანიას საქციელს, უფრო სწორად, მუშაობას და ის სახედარი მახსენდება, მთელი სოფელი რომ დასტრიალებდა თავზე: აცე, ვირო, წამოდექი, თვალები გაახილე, ბალახი ჭამე, აზრზე მოდიო. სახედარს ენადა წამოდგომა, მაგრამ დამჯდარი აკუმულატორივით იყო, გნასი არ ჰქონდა. ჰე, ლანძღეთ ახლა ნარმანია, კი დადის მეფე ლირივით და კი ლაპარაკობს სისულელეებს, მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც დამჯდარი აკუმულატორივითაა და მიწოლითაც აღარ იქოქება. ამას წინებზე, „ქრონიკის“ ერთ-ერთ ნომერში სულ ჭინჭარი ვურტყი რბილ ადგილებში, მეგრულადაც ვუწერე ხალხის სათქმელი, კახურადაც, ქალაქურადაც, ლექსადაც, პროზადაც, მაგრამ რად გინდა? გამოვიდა ტელევიზორში და დაიწყო, ჩემი გადადგომის შესახებ დეზინფორმაცია ვრცელდება, არ დაიჯეროთ, ეს ცენტრალური გზები იმიტომ გადავთხარე, რომ ნერვული სისტემა მქონდა დაზიანებული, თუ თავს არ დამანებებთ, ასფალტს საერთოდ აღარ დავაგებ და დაგყრით აეგრე სოფელ კოკის დონეზეო. ჰო, კიდევ ისაო, ვიღაცები იძახიან, თითქოს მე ძველბიჭური ტერმინოლოგიით ვსაუბრობ, როგორ გეკადრებათ, ვინ ვინ და დავით ნარმანია შორს არის ძველბიჭური ტერმინოლოგიისა და შესაბამისი ქცევისგან, ეს მთელმა ქალაქმა კარგად იცისო. დიახ, მთელმა ქალაქმა კარგად იცის, ნარმანია ძველბიჭური კი არა, მეგრულ-თბილისური ტერმინოლოგიითაც ძლივს ლაპარაკობს, მაგრამ აი, ძველბიჭური ფიზიონომია რომ აქვს, ეგ არაფერი?! მოკლედ, ძალიან უცნაურია ეს ცხოვრება, ზოგიერთი პოეტის მუზა ქალია, ზოგისა – სამშობლო, ზოგისა – სარწმუნოება, ზოგისა – დედის ძუძუ, რომელიც არ გაიცვლების სხვაზედა, ვერ გავიგე, ჩემი მუზა კიდევ დავით ნარმანიაა? ვაჰმე, მამულო, საყვარელო, ეგრე გამოდის:

**„ბიძომ დაგადგა თავზე გვირგვინი**
**და იკრიჭები ვით მეფე ლირი,**
**არავინ იცის, რა იქნებოდი,**
**ინდაური თუ კოკელი ვირი!**
**გადაგვიხანი ვაკე, დიდუბე,**
**ყანას გვითოხნი დილით ვერაზე,**
**ხალხი კი ბრაზობს ივანიშვილზე,**
**აუგს ამბობენ რეპერ ბერაზე!**
**ზამთარში ასდის წერეთელს ბუღი,**
**ჭავჭავაძეს ხომ უტირე დედა,**
**საბურთალოზე ჭედვაა, დავით,**
**გმირთა მოედანს დაეცა ბნედა!**
**რატომ დაგადგეს თავზე გვირგვინი,**
**რას იკრიჭები, ვით მეფე ლირი,**
**ყველა გატყუებს, ყველას გვატყუებ,**
**ინდაური ხარ, თუ მაკე ვირი“?!**

ვიცი, ახლა ზოგიერთი „წესიერი“ ადამიანი იტყვის, ინდაურისა და ვირის ხსენება ამ კონტექსტში უზრდელობაა, არაკორექტულობაა, ამხელა ქალაქის მერს შეურაცხყოფას აყენებო. გეფიცებით ენას, მამულსა და სარწმუნოებას, რომ ეგ არც კი მიფიქრია, უბრალოდ, აქეთ ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად და მხოლოდ ეს მალაპარაკებს. კარგით, ჰო, შეიძლება მე ვცდები და ყველაფერი მეჩვენება, ყოფილი პარლამენტარი ასლან ფაღავაც ცდება?

**„ამ ქალაქში და ამ ქვეყანაში,**
**გაძლება ჭირს და სუნთქვა ძნელდება.**
**ვიხრჩობით შურში, კვლაში, ღალატში...**
**ბნელა და კიდევ უფრო ბნელდება“.**

დავუშვათ, მეც მეშლება და ბატონ



## ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

ასლანსაც, მაშინ ეს გია კორკოტაშვილი რატომღა ბრაზობს?

„ავად ვარ, მახველებს, გადავხედე „ოცნების“ გუნდს, რას ვერჩით ამ „ნაცებს“? ებღაუჭებიან, რასაც შეუძლიათ, კარგი ცხოვრება ჰქონდათ და არ უნდათ, რომ დათმონ. მით უმეტეს, უფლებასაც აძლევენ ბლატაობის. რატომ იომოს „ოცნებამ“? დიდ ნაწილზეა საუბარი. ერთი გამძღარი კაცის ლექსი გამახსენდა:

**მასვი, მაჭამე, მალხინე,**
**მატყ...რე და მაძინე,**
**თუ კაცზე ცუდი რამე ვთქვა,**
**სულ კარგის ტრაკი მაგინეთ“!**

სხვათა შორის, ნარმანიას გარდა, ბოლო დროს ჩემი მუზის საგანი ნიკოლოზ გვარამიაც გახდა. პრინციპში, ეს უკვე მუზა კი არა, სერიალია, რომელიც ორშაბათიდან ორშაბათამდე გრძელდება. ერთ-ერთ ბოლო სერიაში გვარამიამ ახალი კამათელი გააგორა: მეგობრებო, უტყუარად შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სუს-ისა და პროკურატურის შუამდგომლობა და გასცა სანქცია ჩემს მოსმენაზე და თვალთვალზე ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით, მათ შორის, ვაიბერით, თუ ვინმეს რამის თქმა გინდათ, ყურში ჩამჩურჩულეთო. არა, რააა, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზი ნაგენპროკურორალი მასტი გახლავთ, მაინც არიფია – ჰგონია, მაგისი ყურები და აზრები არ ისმინება. ჯერ ერთი, როგორც დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ თქვა, თუ მოსასმენი ხარ, უნდა მოგისმინონ... ესე იგი, ამ ლოგიკით, თუ საცემი ხარ, უნდა გცემონ, თუ დასაჭერი ხარ, უნდა დაგიჭირონ და საერთოდაც, თუ გისმენენ, უნდა იამაყო. აბა, ვინც ამდენს ვწერთ, ვყვირით, ვკივით და მაინც არ გვისმენენ, რა ვქნათ? რაღა დაგიმალოთ და ცოტა შემეცოდასავით, ეს გვარამია... იქიდან მიშა აწვება, აქედან – სიტყვის თავისუფლება. რა იყო, ბიჭო, რა დაგრჩა კიდევ სათქმელი, პირდაპირ ეთერში ივანიშვილს ორ შაურად აგინებ და თან იძახი, სიტყვის თავისუფლება საფრთხეშიაო. არააა... ამას ახლა რეზო ამაშუკელისებური შეგონება თუ უშველის:

**„ზოგს მიშა უყვარს,**
**ზოგსაც ჩიორა,**
**ზოგისთვის ირმაც**
**ბრიჯიტ ბარდოა...**
**არადა, ნიკა**
**მაინც მარტოა!**
**ნუ მეკითხებით**
**ასე რატოა:**
**თუ ურთმელიძეს**
**წამოუარეს,**
**ადამიანი**
**უკვე მარტოა!**
**გივია ისევ ფეხს**
**აბაკუნებს,**
**ბაქრაძე ისევ**
**მხოლოდ ლადოა,**
**დრო მაინც ყველას**
**კუთვნილს არგუნებს,**
**არადა, ნიკა**
**მაინც მარტოა!**
**წუთისოფელი**
**თავის გზით მიდის,**
**თვალსაწიერიც**
**უფრო ფართოა,**
**ყველამ ჩახედოს**
**საკუთარ სინდისს,**
**— ადამიანი**
**მაინც მარტოა“!**








**„...რატომ დაგადგეს თავზე გვირგვინი,**
**რას იკრიჭები, ვით მეფე ლირი,**
**ყველა გატყუებს, ყველას გვატყუებ,**
**ინდაური ხარ, თუ მაკე ვირი“?!**

**„...მასვი, მაჭამე, მალხინე,**
**მატყ...რე და მაძინე,**
**თუ კაცზე ცუდი რამე ვთქვა,**
**სულ კარგის ტრაკი მაგინეთ“!**



სვანი და მეგრელი ნარდს თამაშობენ.

მეგრელი:

– აბა შაში, აბა შაში...

სვანი:

– მესტიაში, მესტიაში...

*****

ამსტერდამი. ბავშვი ქვიშაში თამაშობს. აივნიდან ეძახიან:

– შვილო, ამოდი საჭმელი ჭამე!

– ახლავე, დედა!

– დედა არ ვარ მე, ბიჭო, მამა ვარ!

ბავშვი თავისთვის ჩაიბურდღუნებს:

– მოდი და არჩიე ეს პიდარასტები!!!

*****

– დედა, რა გჭირს, მე ხომ უკვე 16 წლის ვარ და პომადის წასმას როგორ მიკრძალავ?

– ხმა ჩაიწყვიტე, გივიკო!..

*****

ქმარი ცოლს:

– საყვარელო, ეს წვნიანი გუშინდელია?

– მეტსაც გეტყვი, ძვირფასო – ეგ წვნიანი ხვალინდელიცაა!!!

*****

ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში მოხვდა – სამი ნეკნი აქვს გატეხილი, ტვინის შერყევა, კბილები ჩამტვრეული, თვალები ჩალურჯებული, კიდურები მოტეხილი... ექიმი ეკითხება:

– ავარიაში მოყევით?

– ეჰ... არა, კარადაში დამაცემინა...

*****

– დაგისხა?

– არა, საჭესთან ვარ.

– და მანქანით რას მოდიოდი, ვერ დატოვე?

– რა ვიცი, ვჩქარობდი – უჩემოდ არ დაიწყონ-თქო დალევა...

*****

ოფიცერი ახალწვეულებს ეცნობა:

– აბა, რა განათლება გაქვს, რიგითო?

– 9 კლასი, ბატონო ოფიცერო!

– და შენ?

– თსუ!

– თფუი, როგორ ლუღლუღებს! კითხვა მაინც თუ იცი?!

*****



მოსამართლე ბრალდებულს:

– რატომ ესროლეთ დაზარალებულს სამი ჭიქა?!

– პირველი ორი ვერ გავარტყი და...

*მომზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# 23–29 ნოემბრის ჰოროსკოპი



## ვერძი 21.03-21.04

**სიყვარული** – ამ პერიოდში ვერძებმა თავი უნდა მოთოკონ, რათა ფატალური შეცდომა არ დაუშვან. პირად და განსაკუთრებით, საქმიან პარტნიორთან ურთიერთობაში, სჯობს, 10 დეკემბრამდე საერთოდ არაფერი მოიმოქმედონ. კვირის მეორე ნახევარი საკმაოდ მშვენიერ შესაძლებლობებს გაძლევთ, იმგზავროთ ადამიანთან ერთად, რომელიც თქვენი პერსონით უსაზღვროდ ინტერესდება. ჰოდა, შედეგი შეიძლება ისეთი მიიღოთ, ყოველგვარ მოლოდინს რომ გადააჭარბებს.

**სამსახური** – ბიზნესის გაფართოების, ახალ ბაზრებზე გასვლის დროა.

**სასიკეთო დღეები: 24, 25 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 28 ნოემბერი.**

## კურო 22.04-21.05

**სიყვარული** – მომდევნო დღეები კუროებს თითქმის ყველა სფეროში გამოცდებს მოუწყობს. მდგომარეობის გაუმჯობესებას კი შეძლებენ მხოლოდ ისინი, ვინც რისკისთვის იქნება მზად. ამ ყველაფრის პარალელურად, საკმაო სირთულეებია მოსალოდნელი პირად ურთიერთობებში. კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად შეეცადეთ, გაისტუმროთ ვალები, გაუკეთეთ ახლობლებს საჩუქრები. ფულს იოლად შეელიეთ: ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მომდევნო თვიდან აუცილებლად შეძლებთ.

**სამსახური** – ბიზნესისთვის არცთუ მარტივი დროა. ის, რაც გზლუდავთ, სჯობს, თავიდან მოიშოროთ.

**სასიკეთო დღეები: 23, 24 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 26 ნოემბერი.**

## ტყუპები 22.05-21.06

**სიყვარული** – ტყუპებისთვის ეს კვირა არც ისე მარტივი იქნება, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი. მოსალოდნელია კონფლიქტები ოჯახში, უთანხმოება ბიზნეს პარტნიორთან. მოგიწევთ, ხელი მიჰყოთ რუტინულ საქმეს, მოაგვაროთ პრობლემები, გაისტუმროთ ვალები. ეს შეეხება პირად ურთიერთობასაც, რომელიც წარსულში მოუგვარებელ უთანხმოებებთან დაბრუნებას გაიძულებთ.

**სამსახური** – ამ ეტაპზე ნუ გამოხვალთ ინიციატივებით. კომპანიონები და თანამშრომლები თქვენს ენთუზიაზმს მაინც არ გაიზიარებენ.

**სასიკეთო დღეები: 27, 28, 29 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 24 ნოემბერი.**

## კირჩხიბი 22.06-22.07

**სიყვარული** – მიმდინარე კვირაში ვარსკვლავები გაგანებივრებენ როგორც სასიყვარულო ურთიერთობების, ისე შემოქმედებითი რეალიზაციის კუთხით. ფინანსური შესაძლებლობები საყვარელი ადამიანების გახარების საშუალებას მოგცემთ. თუმცა დროებით შაბათ-კვირის დავიწყება მოგიწევთ და თუ შვებულებაში გასვლას აპირებდით, უნდა გადადოთ. საერთო ჯამში, პერიოდი ნორმალურია ნაცნობობისთვის და ახალი ურთიერთობის წამოწყებისთვის. ერთი ეგ არის, მოგიწევთ, უფრო მეტი გასცეთ, სანაცვლოდ კი შედარებით ნაკლებს მიიღებთ.

**სამსახური** – წინ გელით ჩვეულებრივი რუტინული სამუშაო და წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე ზრუნვა.

**სასიკეთო დღეები: 27 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 28, 29 ნოემბერი.**

## ლომი 23.07-22.08

**სიყვარული** – მიმდინარე კვირა – სიყვარულისა და დასვენების დროა. მოიწყვეთ დღესასწაული, უმჯობესია – საზღვარგარეთული არდადეგები. კვირის პირველი ნახევარი სავსე იქნება ხალხმრავალი წვეულებებით და სერიოზული პრეზენტაციებით. გარდა ამისა, იღბლიანი პერიოდია საცხოვრებელი სახლის შეძენისთვის ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციებისთვის. კვირის მეორე ნახევარში უფრო მეტი ყურადღება დაუთმეთ პირად ცხოვრებას.

**სამსახური** – მომენტი იდეალურია სარეკლამო კამპანიების წარმართვისთვის.

**სასიკეთო დღეები: 23 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: არ გექნებათ.**

## ქალწული 23.08-22.09

**სიყვარული** – უნდა იყოთ მზად ბრძოლისთვის და რაც მთავარია, უნდა იყოთ მზად იმისთვის, რომ გადამჭრელ ზომებს მიმართოთ. სამაგიეროდ, თუ სათანადოდ აქტიური იქნებით, ჯილდოდ სიყვარულს და თქვენთვის ძვირფასი ადამიანისგან დიდ ყურადღებას დაიმსახურებთ. კვირის პირველი ნახევარი წარმატებით შეგიძლიათ გამოიყენოთ საქმიანი მივლინებებისთვის. ასევე, საკმაოდ კარგი პერიოდია ნაცნობობისთვის.

**სამსახური** – დროებით კარიერულ წინსვლაზე ფიქრი უნდა დაივიწყოთ.

**სასიკეთო დღეები: 28, 29 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 24 ნოემბერი.**

## სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული** – უახლოესი დღეების განმავლობაში ფორტუნა თქვენს მხარეზე იქნება, განსაკუთრებით იმ მხრივ, რაც ფლირტს შეეხება. შესანიშნავი პერიოდია საკუთარი გარეგნობისა და იმიჯის გასაუმჯობესებლად, ძვირად ღირებული შენაძენებისთვის და სასიამოვნო ნაცნობობისთვის. შედეგად მიიღებთ იმას, რომ საწინააღმდეგო სქესის დიდ ყურადღებასა და მოწონებას დაიმსახურებთ. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ არცთუ კარგი პერიოდია ოფიციალური ღონისძიებებისთვის და საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის.

**სამსახური** – რაც უფრო ბევრ ადამიანთან გექნებათ ურთიერთობა, რაც უფრო ბევრ შეხვედრას გამართავთ, მით მეტ შედეგს მიიღებთ.

**სასიკეთო დღეები: 25, 29 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 28 ნოემბერი.**

## ღრიანკალი 23.10-21.11

**სიყვარული** – ღრიანკლებისთვის მიმდინარე კვირა პირადი საკითხების მოგვარების და ასევე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დროა. ბედი მშვენიერ შესაძლებლობებს გიმზადებთ, რაც, პირველ რიგში, საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობას უკავშირდება. გარდა ამისა, შეძლებთ წარსულში დაკარგული სიყვარულის დაბრუნებას. თქვენს მიერ გამოჩენილ გულუხვობაზეა დამოკიდებული იმ ადამიანების საპასუხო რეაქციები, რომელთა მიმართაც გარკვეული ინტერესი გამოძრავებთ.

**სამსახური** – ძალიან ხელსაყრელი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისთვის, ასევე, ფინანსური ოპერაციებისთვის.

**სასიკეთო დღეები: 28, 29 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 25 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული** – მიმდინარე კვირა – ეს არის როგორც შედეგების შეჯამების, ისე პირადი ინიციატივების დრო. თუმცა ყველაფერი შეიძლება გააუფერულოს ცოლქმრულ ურთიერთობებში გაჩენილმა სირთულეებმა. არ აჰყვეთ ნერვებს და ნუ ჩაერთვებით კონფლიქტებში, ნუ წამოეგებით პროვოკაციებს. უმჯობესია, გქონდეთ უფრო მეტად საკუთარი თავის, ვიდრე გარშემომყოფთა იმედი.

**სამსახური** – სჯობს, დაფიქრდეთ ახალ პროექტზე და უფრო მეტიც – ახალ სამუშაო ადგილზე.

**სასიკეთო დღეები: 26, 28 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 23 ნოემბერი.**

## თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული** – აჩქარება არაფრით შეიძლება. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს პირად ცხოვრებაში, ნუ მოჭრით ტოტს, რომელზეც თავადვე ზიხართ. შეეცადეთ, დაივიწყოთ წყენა და სიტუაციის დრამატიზებას თავი აარიდეთ. მთელი დრო მომხდარის გაანალიზებას დაუთმეთ, შეეცადეთ, წარუმატებლობების მიზეზები დაადგინოთ.

**სამსახური** – გადადეთ ერთი კვირით მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები და კონტრაქტების ხელმოწერა. ამ ეტაპზე სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება არ ღირს.

**სასიკეთო დღეები: 23, 24, 25 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 28 ნოემბერი.**

## მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული** – მერწყულებს მომდევნო დღეები განახლებას ჰპირდება. პირად ცხოვრებაში შესაძლოა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს. არსებობს დიდი ალბათობა, შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს. გქონდეთ მეგობრების იმედი და მათი რჩევები აუცილებლად გაითვალისწინეთ. საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ნუ მიიღებთ. პერიოდი ხელსაყრელია საწინააღმდეგო სქესთან წარმატების მიღწევის მხრივ.

**სამსახური** – შეეშვით წარსულზე ფიქრს, ეძებეთ ახალი გზები და არასტანდარტული სქემები. უნდა გაგიმართლოთ.

**სასიკეთო დღეები: 28 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 24 ნოემბერი.**

## თევზები 19.02-20.03

**სიყვარული** – უახლოეს მომავალში თევზებს კარიერული წინსვლა ელით. შესაბამისად, ნუ გაიკვირვებთ მოულოდნელ წინადადებებს, სასიამოვნო ნაცნობობას. გამოიყენეთ თქვენი შანსი. კვირის პირველ ნახევარში ხარჯები გელით, შესაძლოა, საკმაოდ მსხვილიც კი, მაგრამ შაბათ-კვირისთვის ფინანსური სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდება.

**სამსახური** – პერსპექტიული შანსები იმაზე მეტი გექნებათ, ვიდრე მათ მიღება-გააზრებას მოასწრებთ. კონცენტრირება მთავარზე მოახდინეთ.

**სასიკეთო დღეები: 26, 28, 29 ნოემბერი; არახელსაყრელი დღეები: 23 ნოემბერი.**

ანომალია



# „როგორც კი იგრძნობთ, რომ თქვენს ცხოვრებაში უსიამოვნო სიურპრიზების კასკადი დაიწყო, „ყველაფრის მკურნალ“ დროს არ დაელოდოთ“

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**რატომ სჭირდებათ ექიმებსაც პარაფსიქოლოგთა მომსახურება? გვესაუბრება ბიოენერგეტიკოსი და ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი.**

– ჩვენს ქვეყანაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მარქსისტულმა იდეოლოგიამ სცადა, ამოეშალა კაცობრიობის გულიდან და ტვინიდან ზებუნებრივი ძიება, ღმერთის რწმენა და ღვთის სამართლიანობა. მართლმადიდებლობას, სულიწმინდის რელიგიას, ღვთისმოშიშობას დაარქვეს ცრუმორწმუნეობა. ასეთ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, არც პარაფსიქოლოგიას აღიარებდნენ მეცნიერებად და არც ექსტრასენსორიკის მიღწევებზე ისაუბრებდა ვინმე, მაგრამ სწორედ ამ სიბნელით მოცულ ეპოქაში მოევლინა მსოფლიოს ვანგა, საქართველოს კი – ჯუნა დავითაშვილი. რომლის უნიკალური ნიჭი, ენერგიით სამკურნალო შესაძლებლობებისა, პირველად ძლიერთა ამა სოფლისათა გამოსცადეს. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და ჩვენთან არს ღმერთიო, თამამად თქვა ქართულმა ხელისუფლებამ, ბევრი ქართველი და მართლმადიდებელი მხოლოდ მაშინღა მიხვდა, რომ რელიგია ცრუმორწმუნეობა კი არ არის, არამედ ყველაზე დიდი სიმდიდრე და ბედნიერებაა ყველა ადამიანისთვის. მახსოვს, როცა ჩვენი ბიოლოგიის მასწავლებელი დარვინის თეორიას გვიხსნიდა, გვითხრა, – დედამიწაზე დღეში შეიძლება ათიათასობით ადამიანი დაიბადოს, ღმერთი როგორ შეძლებს ყველა ახალშობილს შეხედოს და შუბლზე ბედისწერა წააწეროს, ასეთი სისულელეები არც დაიჯეროთ და არც გაიმეოროთო. იმ საგნის, რომელსაც საზოგადოებათმცოდნეობა ერქვა, პირველივე გაკვეთილში ეწერა – ადამიანი ვერასოდეს გახდება ბედნიერი, თუ ის რელიგიას დაემონება. ჩემი ერთი თანაკლასელი საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელს შეეკამათა, – მაშ რატომღა ვსწავლობთ შუშანიკისა და აბოს წამებას, რატომ არის შუშანიკი ჩვენი ეროვნული გმირი, თუ მართლმადიდებლობა ცრუმორწმუნეობაა, ქმრისგან ცემა-ტყეპასა და წამებას ხომ ბევრი უპატრონო ქალი ითმენსო?.. ეს სითამამე უზრდელობად განიხილეს და ჩემს კლასელს კომკავშირის რიგებიდან გარიცხვით დაემუქრნენ. ახლა ეს კაცი ცნობილი მეცნიერია და მაშინ მათი დატუქსვა სიცილადაც არ ეყო. ამ მაგალითებს იმიტომ ვიხსენებ, რომ მოაზროვნე ადამიანები ყველა ასაკში, ყველა დროსა და ეპოქაში იყვნენ და იმასაც ხედავდნენ, რომ მარქსისტული იდეოლოგია თავიდან ბოლომდე რელიგიურ საბურველში იყო გახვეული და ღვთის ცნებებზე საუბრობდნენ ღმერთის გარეშე. ცათა სასუფეველი კი თავისი არსითა და შინაარსით შეადარეს უკლასო საზოგადოებას – კომუნიზმს, რომელსაც დიდხანს აშენებდნენ. ეს ამბავი კახელი მიხოს ანეკდოტის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: ალაზნის ველზე გაშლილი იყო ხაშლამა, რომელსაც „ვერტალიოტით“ მარილს აყრიდნენ და ნებადართული იყო, ვისაც რამდენი უნდოდა, ეჭამა. მადლობა უფალს, ბნელეთით მოცული იდეოლოგია და წიგნები, რომლის დაზუთხვასაც ყველა უმაღლეს სასწავლებელში აიძულებდნენ, იქცა მაკულატურად, რომელიც ახლა არავის არაფერში სჭირდება...



**— მაგრამ მართლმადიდებლური რელიგია მკაფიოდ და ხაზგასმით მიჯნავს ჭეშმარიტებისგან პარაფსიქოლოგიას...**

– სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ, თუ ადამიანს აქვს ნამდვილი რწმენა და ღვთის მცნებათა დაცვით ცხოვრობს, მან იცის, რა შეუძლია ღვთის მტერს – ეშმაკს და თავდაცვაც შეუძლია მტრებისგან, უხილავის თუ ხილულისგან. ასეთი ადამიანისთვის არ არის აუცილებელი ჩვენგან დახმარება, რადგან თხემით ტერფამდე ღმერთს არის მინდობილი და ღვთის წიაღში ცხოვრობს. მაგრამ ასეთი ადამიანი ძალიან ცოტაა და რადგანაც ხვალინდელი დღის შეცნობის სურვილი და ინტერესი ყველა ადამიანის თანდაყოლილი განცდაცაა, ამიტომაც ყოველთვის იყო და იქნება ინტერესი ნათელმხილველთა საუბრების მიმართ. პარაფსიქოლოგი კი ყველა ადამიანს დასჭირდება, ვინც თავს ბედის ნებიერად არ თვლის. ძალიან ცოტა ადამიანი მინახავს, ვინც კმაყოფილია ღმერთისგან ბოძებულის და რატომღაც უკეთესი მომავალი არ უნდა. დადგება დრო, როცა საზოგადოება, მორწმუნეც და ურწმუნოც, აღიარებს პარაფსიქოლოგიას კაცობრიობის უდიდეს მონაპოვრად, რადგან ამ მეცნიერებას აქვს უდიდესი ძალა და გამოცდილება, ყველა ადამიანი გახადოს ძლიერი და წარმატებული.

**— ქალბატონო ნინო, რა შეუძლია პარაფსიქოლოგიას ისეთი, რასაც მედიცინა არ აღიარებს?**

– თანამედროვე მედიცინა არამც და არამც არ უარყოფს მედიტაციას, არტთერაპიას, ექსტრასენსორიკას და არც კარმულ დიაგნოსტიკასთან არ უნდა ჰქონდეს რაიმე საწინააღმდეგო, რადგან კარმა მიზეზშედეგობრივ კავშირს ნიშნავს, რაც ყველამ არ იცის. მედიცინაშიც თუ არ დადგინდა ამა თუ იმ პათოლოგიის გამომწვევი მიზეზი, განკურნებაზე საუბარი ზედმეტია. ერთ მაგალითს მოგიყვებით ჩემი პრაქტიკიდან, რაც ნათლად გაგცემთ პასუხს ჩემს კითხვაზე: დაახლოებით ერთი წლის წინათ ჩემთან მოვიდა ერთი ქალბატონი, რომელსაც ჰქონდა საშინელი დეპრესია და პრაქტიკულმა მედიცინამ ვერ შეძლო მისი შველა, ამ ქალბატონს ჰქონდა მშვენიერი ოჯახი, წარმატებული კარიერა, მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ თავს უბედურად თვლიდა და მიზეზს ვერ პოულობდა, რატომ იყო ავად. მისმა ქვეცნობიერმა არ იცოდა, რატომ იყო დათრგუნული, არადა კარგი სპეციალისტი ყოფილა. არც ჩემთვის არ უთქვამს, რომ ექიმი იყო. როცა მის საინფორმაციო ველში შევედი და კარმული დიაგნოსტიკა ჩავუტარე, დავინახე, რომ მასზე არც ჯადო იყო განხორციელებული, არც საგვარეულო წყევლა და თავისი ე.წ. პროფესიული საქმიანობა აყენებდა შავ დღეში. მას ჰქონდა საკმარისზე მეტი ფული, რასაც ერთი შეხედვით პატიოსნად, პროფესიული საქმიანობით შოულობდა, მაგრამ არ გაინტერესებთ, კონკრეტულად რით შოულობდა ამ ფულს? არც მეტი და არც ნაკლები, აბორტების კეთებით, რადგან გინეკოლოგი გახლდათ. აბორტის მკეთებელი ექიმი კი, მოგეხსენებათ, ჯალათის როლს ასრულებს. მართალია, განაჩენი მათ არ ეკუთვნით, მაგრამ ეს სისასტიკე ხომ მათი ხელით ხორციელდება? მე ვუთხარი ამ ქალბატონს, რომ აღსარება ჩაებარებინა მოძღვრისთვის და მხოლოდ მაშინ გახდებოდა კარგად, თუ ამ სასტიკ დანაშაულს აღარ ჩაიდენდა. აღმოჩნდა, რომ ჩემი პაციენტი თავს ურწმუნო ადამიანად არ თვლიდა, ტაძარშიც შედიოდა და სანთლებსაც ანთებდა, მაგრამ არ ჰყავდა მოძღვარი. სანამ არ ვუთხარი, რომ მისი ე.წ. უმიზეზო დეპრესიის გამომწვევი მიზეზი მისი ხელით მოკლული მომავალი თაობა იყო, არც დაფიქრებულა თავისი დანაშაულის სიმძიმეზე და არც დანაშაულად ჩაუთვლია თავისი ე.წ. პროფესიული საქმიანობა. როცა მან გულწრფელად მოინანია თავისი მკრეხელური საქმე, ისევ დაუბრუნდა ძველებური ხალისი და სიცოცხლის მიმართ სიყვარული და სიხარულის შეგრძნებები. პარაფსიქოლოგიისა და კარმული დიაგნოსტიკის, ასევე, ნათელხილვის ნიჭის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ვიგებთ ამა თუ იმ მდგომარეობის გამომწვე მიზეზებს. ზემოხსენებული შემთხვევის დროს არავის მოსვლია აზრად, რომ ჩემი პაციენტის მდგომარეობა მისი საქმიანობით აეხსნათ, პრობლემას იქ ეძებდნენ, სადაც არ იყო. ეს ადამიანი დღეს ძალიან ბედნიერია და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს ჩემ მიმართ. თუ ადამიანები სწორად მიაგნებენ თავიანთი წარუმატებლობისა და ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზებს, მაშინ პრობლემათა მოგვარება შესაძლებელი და მარტივი ხდება...





> „სანამ არ ვუთხარი, რომ მისი ე.წ. უმიზეზო დეპრესიის გამომწვევი მიზეზი მისი ხელით მოკლული მომავალი თაობა იყო, არც დაფიქრებულა თავისი დანაშაულის სიმძიმეზე“

**— ბედისწერის შეცვლა თუ შეუძლია პარაფსიქოლოგსა და ნათელმხილველს?**

– სიტყვა „ბედისწერა“ ადამიანის დაბადებამდე თვითონ გვანიშნებს, რომ ეს ადამიანის დაბადებამდეა გადაწყვეტილი მისი ცხოვრების გზა და ღვთის ნებას წინ ვერავინ დაუდება, მაგრამ ადამიანმა ხომ არ იცის, ბედი რას ჰპირდება? ამიტომაც არ უნდა შეეგუოს არაფერს, რაც არ მოსწონს, სასიკეთო ცვლილებები, რასაკვირველია, ხდება, თუმცა ამ ცვლილებებს ბედისწერის შეცვლას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ვიზიარებ აზრს, რომ ბედს სასიკეთოდ მართავს თვითონ ის ადამიანი, ვისაც სიცოცხლე უყვარს და ღვთის ნაბოძებს უფრთხილდება. კარმის კორექცია, არამცთუ შესაძლებელია არამედ აუცილებელიც კი არის ყველა ადამიანისთვის, რადგანაც მშობლების და წინაპართა ცოდვების გამო ზოგი ადამიანი მძიმე კარმით იბადება და ეს მის ბედისწერაზეც აისახება.

**— საიდან უნდა გავიგოთ, როგორი კარმა გვაქვს და საჭიროა თუ არა მისი კორექცია?**

– იმის განსაზღვრა, როგორი კარმით დავიბადეთ, ძნელი დასადგენი არ არის, ამას ჩვენი ცხოვრების გზა აუცილებლად დაგვანახებს ჩვენი იღბლითა თუ უიღბლობით, თუ თავს ვგრძნობთ მშვიდად, გაწონასწორებულად და ბედნიერად, ყველაფერი ხელგვეწიფება, რასაც მოვისურვებთ და ჩვენი შრომა სათანადოდ ფასდება, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ჩვენს კარმას კორექცია არ სჭირდება, თუ რაღაც რიგზე არ არის, ვშრომობთ, მაგრამ უნაყოფოდ, ვწვალობთ, მაგრამ ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს, მომხიბვლელობა არ გვაკლია, მაგრამ გარშემომყოფნი ვერ გვამჩნევენ, უნდა ვეძებოთ და აღმოვფხვრათ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზები. მშვიდი ცხოვრების თადარიგისთვის არსებობს პირადი ჰოროსკოპი, სადაც ვლინდება საფრთხის მომასწავებელი პერიოდები, რაც შეიძლება ნათელმხილველმა გიწინასწარმეტყველოთ. როგორც ჯანმრთელი ადამიანები არ მიდიან ექიმთან პრევენციის ჩასატარებლად, ისე არავინ გვაკითხავს პარაფსიქოლოგებს კარმის დიაგნოსტიკით, მაგრამ, რადგან მომავალი ყველას აინტერესებს, იღბლიანსაც და უიღბლოსაც და ნათელმხილველად მცნობენ და ჩემთან მოდიან, მაინც მიწევს მათ საინფორმაციო ველში შესვლა და იმ რჩევების მიცემა, რაც მათ მომავალში საფრთხის ნიშნები დავინახე. როგორც შორსწასულ დაავადებებს სჭირდება დიდი დრო და ძალისხმევა, ასევე ხანდაზმულის ჯადოს განეიტრალებაა რთული, ამიტომაც ვურჩევ ყველას, როგორც კი იგრძნობთ, რომ თქვენს ცხოვრებაში უსიამოვნო სიურპრიზების კასკადი დაიწყო, „ყველაფრის მკურნალ“ დროს არ დაელოდოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად და დაუყოვნებლივ სცადეთ იმ მიზეზების დადგენა, რაც გაწუხებთ. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ პარაფსიქოლოგიისთვის ამოუხსნელი ამოცანა არ არსებობს.

## თამრიკო ჭოხონელიძე „საბავშვო ევროვიზიაზე“ საქართველოს წარუმატებელ გამოსვლას ეხმაურება — „მივმართავ ადამიანებს, ვისაც ასე ოსტატურად აქვს ეს საქმე ხელში ჩაგდებული“



21 ნოემბერს ბულგარეთის ქალაქ სოფიაში „საბავშვო ევროვიზია“ გაიმართა, სადაც გამარჯვებული მალტის წარმომადგენელი გახდა. საქართველოს კვარტეტი „ვირუსი“ წარადგენდა სიმღერით „გაბედე“. სამწუხაროდ, საქართველო საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე „საბავშვო ევროვიზიაზე“ საქართველოს წარმომადგენლების წარუმატებლობას სოციალურ ქსელსი ეხმაურება.

– ვუყურე საბავშვო „ევროვიზიის“ კონკურსს. იქ, სადაც საქართველო უნდა წარმოჩინეს – მე ყოველთვის დიდი გულშემატკივრობით ვერთვები და ვისმენ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მერამდენე კონკურსია ჩვენი ქვეყნისთვის ერთი-ორი „მოძმე“ ქვეყნის გარდა (ზრდილობისთვის გადმოგდებულ რამდენიმე დაბალ ქულას თუ არ ჩავთვლით) ხმები ვერავინ გაიმეტა.

მე მაინც დიდი იმედით ვზივარ ხოლმე ტელევიზორთან, მაგრამ რა?! ამჯერადაც „არ გაგვიმართლა“(?!). იქნება კარგად დავფიქრდეთ რატომ „არ გვიმართლებს“?! სხვათა შორის, მივმართავ არა იმ ცალკეულ ადამიანებს, ვისაც ასე ოსტატურად აქვს ხელში ჩაგდებული ეს საქმე, არამედ ქვეყნის მესვეურთ, რადგან აქ სწორედ ქვეყნის ინტერესი და მისი პრესტიჟია მნიშვნელოვანი და არა ცალკეული ადამიანების (თუნდაც შეძლებული მშობლების და ა.შ.).

„ჭიის გახარება“! ვიცი წამოვა თავის მართლების ტალღა „ეს არაობიექტური, პოლიტიკური კონკურსია“ და ა.შ. შეიძლება, მაგრამ არც იმის მიჩქმალვაა საჭირო, რომ ხარისხი(!!!)მაინც თავისას ამბობს! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში! კარგი იყო ის ბავშვი მალტიდან თავისი ვოკალით, შესრულებით, თავად სიმღერით (კომპოზიტორს ვგულისხმობ) არანჟირებით – ყველაფრით(!) და იმიტომაც გაიმარჯვა!

მერწმუნეთ, ასეთ დროს ხალხს არ აინტერესებს პოლიტიკა – რაც მოსწონს, იმას აძლევს ხმას! ვინმეს არ ეგონოს, რამე მავიწყდებოდეს. მახსოვს მარიამ რომელაშვილიც, „ბზიკებიც“. მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: დაე, დაერქვას ამას პოლიტიკური. დაე, ნუ მოგვცემენ ხმებს, ჩვენ ხომ უნდა ვიდგეთ იმ სიმაღლეზე, რომ სიმღერის ქვეყნიდან ჩასულმა კონკურსანტებმა ღირსეულად, ხარისხიანად აჩვენონ თავი! დროა, ცოტა გამოფხიზლდნენ ქვეყნის ღირსებით დაინტერესებული ოფიციალური პირები და ასეთი კონკურსებისთვის უფრო კომპეტენტურად შეირჩნენ კონკურსანტები! ეს არ უნდა იყოს ერთი „ფაბრიკის“ გამოშვება!

ღვთის წყალობით საქართველოში ბევრი ნიჭიერი ბავშვია! ამიტომ გამოფხიზლდით(!!!) და შემდეგი კონკურსისთვის უფრო კომპეტენტური, უფრო მასშტაბური მოსმენა მოაწყვეთ მთელი საქართველოს მასშტაბით (რადგან ნიჭიერი ბავშვები მარტო თბილისში არ არიან!) და ნახავთ, თურმე, რა რესურსი გაგვაჩნია! კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ამით ყველა უნდა ვიყოთ დაინტერესებული! ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესია პირველ რიგში! – წერს თამრიკო.

***reitingi.ge***

## პატარა, სულელური ანეკდოტი რობერტ სტურუასგან



ცნობილი რეჟისორი და რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სახალისო პოსტს აქვეყნებს, სახელწოდებით „პატარა, სულელური ანეკდოტი“:

– ლამაზი გოგონა მანქანას აჩერებს. შენ „მერსედესს“ უჩერებ და ქალიშვილთან ერთად გზას აგრძელებ. ეს სასიამოვნო სტრესია.

მოულოდნელად გოგონას გული მისდის და მანქანას საავადმყოფოში მიაქანებ. ეს უკვე სტრესია, მაგრამ არც ისე ძლიერი.

როცა ექიმი გატყობინებს, რომ ქალი ბავშვს ელოდება და გილოცავს მომავალ მამას, სტრესი მატულობს!

როცა უხსნი ექიმს, რომ ეს ლამაზი ორსული ქალი 10 წუთის წინ გაიცანი და ექიმი, როგორც ბოროტმოქმედს, გატყობინებს, რომ გოგონამ, – ბავშვის მამა გარეთ მიცდისო, მაშინაც არ იფიქრო, თითქოს სტრესმა პიკს მიაღწია!

შენ კატეგორიულად მოითხოვ გენეტიკურ ანალიზს!

და როცა ექიმი საიდუმლოდ გატყობინებს, რომ ბავშვი თქვენი არ არისო, რადგან განაყოფიერების შესაძლებლობა არ გაქვთო, ამასაც სტრესად ნუ ჩათვლი.

აი, როცა მანქანაში გახსენდება, რომ სახლში ცოლი და სამი შვილი გელოდება – აი, ეს უკვე სტრესია და მერე როგორი?!

***daijesti.pia.ge***

## ია სუხიტაშვილი ტუჩებში კოცნის ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ სკანდალში გაეხვია — „სირები ხართ, უნამუსო ვიყო...“



reitingi.ge-ზე გამოქვეყნებულ მასალას „ვის კოცნის ტუჩებში ია სუხიტაშვილი – სკანდალური ფოტოები და გართობა“ – მსახიობი გამოეხმაურა. იას ჟურნალ „თბილისელების“ ჟურნალისტმა მარიკა ხიდურელმა დაურეკა და პასუხად გინება მიიღო. მარიკამ მომხდარი სოციალურ ქსელში დეტალურად დაწერა:

„ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს გვერდზე გავრცელდა ფოტო, რომელზეც მსახიობი ია სუხიტაშვილი და მისი მეგობარი, ასევე მსახიობი, მანანა აბრამიშვილი ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან. გადავწყვიტე, იასთვის დამერეკა და მხოლოდ კომენტარის ჩაწერის შემდეგ გამომექვეყნებინა ეს ფოტო.



პასუხად წარმოუდგენელი ლანძღვა-გინება მივიღე, რომელიც ყველა ჟურნალისტის მიმართ იყო გაჟღერებული. სიმართლე გითხრათ, გაოგნებული დავრჩი, რადგან ამ ფაქტის წინაშე პირველად აღმოვჩნდი. მოკლედ, ისე, რომ ბევრი არც მიფიქრია, გადავწყვიტე კურიერის როლი შევასრულო და ყველა ჩემს კოლეგას მსახიობ ია სუხიტაშვილის დანაბარები გადმოგცეთ.

აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ იას მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არასდროს მქონია და მხოლოდ და მხოლოდ დადებითად ვიყავი განწყობილი. ვფიქრობ, არასდროს ვინანებ ჩვენი დიალოგის გამოქვეყნებას, რადგან ის, რაც იასგან მოვისმინე, არც ჩემს ჟურნალისტურ და არც ადამიანურ გაგებაში არ ჯდება.

ია: მე და ჩემმა ბავშვობის დაქალმა დაბადების დღეზე ვიმაიმუნეთ, ხომ არ აკლია ამ ხალხს? რა მიკვირს, იცი? ორ პროექტზე ვმუშაობ, პრემიერა მაქვს ცოტა ხანში. ხომ შეიძლება ვინმემ ამაზე დამირეკოს? მაინტერესებს ჟურნალისტების დიაპაზონი სადამდე მიდის. პროვოკაცია უნდა გაგიკეთოთ ყოველ წუთს ტიპმა, რომ საბოლოოდ გაიშიფროთ, რა საზოგადოება ხართ ეს ჟურნალისტები, ზოგადად, მართლა. შენ პირადად ნუ მიიღებ შენს თავზე, თუ გინდა, მაგრამ მაგარი სირები ხართ, უნამუსო ვიყო. თქვენი დედას შევ...ი მე ვაფშე ყველას.

**— ია, რატომ მაგინებ და რატომ მლანძღავ, იმიტომ რომ დაგირეკე და პირდაპირ არ დავდე ფოტო?**

– არ გიკოცნია შემთხვევით მეგობრისთვის? არ გიმაიმუნია? თქვენ ხომ არ ლადაობთ, პროსტა, ნუ?

**— მაგიტომაც დაგირეკე, რომ კომენტარი გამიკეთო.**

– რაზე გაგიკეთ კომენტარი, ხომ არ ატრაკებთ... რაზე გაგიკეთო კომენტარი, იმაზე, რომ გავერთე და დაქალთან ერთად რაღაცა ვიმაიმუნე? რომ მოვფსამ, მაგაზეც გავაკეთო კომენტარი? აღარ გამიბედოთ ასეთ თემებზე დარეკვა. ეგეთ თემებზე დაურეკეთ ანრი ჯოხაძეს, პედოფილებსა და გამოსირებულებს კიდევ, კესარიებს და ვიღაც ყ... ქალებს... (და ტელეფონიც გათიშა).

ისე, ცნობისთვის არც ერთ ჩემს (გოგო) მეგობართან ტუჩებში კოცნით არ გავრთობილვარ და არ მიმაიმუნია. და თუ არ გინდა, რომ სკანდალი გამოიწვიო და ჟურნალისტებს საბაბი მისცე წერის, მაშინ მსგავს ფოტოს ან სულ ნუ ატვირთავ, ან მხოლოდ მეგობრებისთვის დახურე. ეს ფოტოები კი მანანა აბრამიშვილის „ფეისბუკის“ გვერდზე ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია.

პირადად მე, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ბევრჯერ დამითმია, რაც მიმაჩნია, რომ ხშირ შემთხვევაში არასწორია. მართალია, ადამიანი როგორც მოგექცევა, ზუსტად ისე უნდა მოექცე. აი, ეს არის, რის თქმაც მინდოდა ამ ყველაფრით.

P.S. ძალიან „დასტოინი“ კომენტარი გამიკეთა კესარიამ ამ ამბავზე, რომ არ დავწერო, არ შემიძლია: „მე იმდენად მადის აღმძვრელი ქალი ვარ, შეიძლება იამ ტრაკზე ან მკერდზე მიკბინოს, მაგრამ მე მას ფიზიკურად ვერ ვუკბენ, რადგან იას არც ტრაკი აქვს და არც მკერდი“, – წერს „ფეისბუკზე“ მარიკა ხიდურელი.

***reitingi.ge***

## სურვილების ასრულების მაგია — როდის ჩავიფიქროთ, რომ ახდეს?



მკითხველები და, უბრალოდ, ნაცნობები მომმართავენ კითხვით – რას ნიშნავს, როცა პერიოდულად საათის ციფერბლატზე, მობილურის ეკრანზე, ქუჩის აბრებზე მოულოდნელად წყვილ რიცხვებს აწყდებიან. ეს გაუცნობიერებლად ხდება და სულაც არ არის გამოწვეული იმით რამდენად დაკვირვებული მზერა გვაქვს ან გაფანტული გონება. როგორც აღმოჩნდა, ეზოთერულად ეს სამყაროს ნიშანია იმისა, რომ დროა კონკრეტული სურვილები ჩაიფიქროთ და კოსმოსი ყველანაირად შეგიწყობთ ხელს მის ასრულებაში.

ამიტომ თუკი დროდადრო მობილურის ეკრანზე ან სულაც ქალაქის საათზე აწყდებით რიცხვებს 13:13, 11:11, 15:15, ნუ შეგეშინდებათ – ფსიქოლოგიური პრობლემები არ გაქვთ, არც გადაღლის ბრალია რამე.

თუმცა დღეს კიდევ რამდენიმე ფაქტორზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომელიც ნუმეროლოგთა აზრით, სურვილების სწორად ჩაფიქრება-ასრულების პროცესს აჩქარებს.

კერძოდ, ეს არის დაბადების თარიღები. ეზოთერიკოსებსა და ნუმეროლოგებს მიაჩნიათ, რომ საკუთარ დაბადების თარიღებს, მათ ჯამს ან ნამრავლს ნებისმიერი სახით შეუძლია ჩვენს ცხოვრებაში ე.წ. „ბედნიერი რიცხვების“ როლი ითამაშონ. ასე, მაგალითად, თუ თქვენ დაიბადეთ 10.08.1980 ნებისმიერი კომბინაცია თუნდაც გადანაცვლებულ ვარიანტში ამ რიცხვებისა აუცილებლად მოგიტანთ ბედნიერებას და წარმატებას.

ერთ-ერთი, ძალზე დადებითი ენერგეტიკის მქონე რიცხვია შვიდიანი. ის, ნუმეროლოგების აზრით, ფარულ ტალანტებსა და ნიჭზე აგებს პასუხს. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ ხასიათში რაიმე დადებითი თვისების გააქტიურებას და გაბევრებას ესწრაფვით შვიდიანის ენერგეტიკა ნებისმიერი ფორმით (სურვილის შვიდჯერ გამეორება, შვიდჯერ დაწერა და ა.შ.) დაგეხმარებათ ამაში.

დაბოლოს, კიდევ ერთი დადებითი, ენერგეტიკული „კორიდორი“ იხსნება მაშინ, როცა ჩვენი სურვილები, ახალი საქმის წამოწყება ან ურთიერთობების დაწყება ემთხვევა წლის წყვილ მაჩვენებლებს – მაგ. შვიდ ივლისს (07.07), თერთმეტ ნოემბერს (11.11) და ა.შ

***astrologi.ge***



# „ჩემი 8 წლის შვილი სიკვდილს ღვთისმშობელმა გადაარჩინა!“

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**რუბრიკის სტუმარია თეატრისა და კინოს მსახიობი დონარა გვრიტიშვილი.**

– სხვა ბავშვებივით მეც მეოცნებე ვიყავი და ჩემი გონებისა და ფიქრის სამყაროში ყოველთვის არსებობდნენ ის ზღაპრული პერსონაჟები, რითაც ვბაძავდი. მინდოდა ლამაზი ვყოფილიყავი და როცა მეუბნებოდნენ ლამაზი ხარო, ეს ჩემი ოცნებების აცხადება მეგონა. მსახიობობა ბავშვობაშივე გადავწყვიტე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ბალეტის თეატრში „ჟიზელის“ ნახვამ, ბალერინა არ გავხდი, მაგრამ დავიჯერე, რომ თეატრი ის ჯადოსნური სამყაროა, სადაც სიკვდილიც არ არის საშიში, რადგან გარდაცვლილი შეყვარებულის აჩრდილთან ცეკვა ვნახე. ამ დღიდან დავიწყე ფიქრი თეატრზე, მისტიკაზე, გარდაცვალებაზე, რომელიც თურმე სხვა განზომილებაში გადასვლაა და არა ფიზიკური დასასრული. ოცნება დღესაც ბავშვივით მიყვარს და მჯერა, რომ ოცნების მატერიალიზება შესაძლებელია, რადგან მაქვს ახდენილი ოცნებები.

**— ზოდიაქოს რომელი ნიშანი ხართ და არის თუ არა ჰოროსკოპთა კრებული თქვენი ერთ-ერთი სამაგიდო წიგნი?**

– ზოდიაქოს ნიშნით ტყუპები ვარ, ტყუპებს გაორება და მერყეობა ახასიათებთ გადაწყვეტილების მიღებისას. მეც ვარ მერყევი რაიმეს შეძენის დროს. სანამ ვინმე არ დამიდასტურებს, რომ ის ტანსაცმელი მიხდება, რის ყიდვასაც ვაპირებ, ვერ ვყიდულობ, მხოლოდ სარკეს ვერ ვუჯერებ. ტყუპებს გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება ამეთვისტო, ამეთვისტოს სამაჯური ჩემი განუყრელი ნივთია, რომელიც ყოველთვის მარცხენა ხელზე მიკეთია, რაც აბალანსებს ჩემს მერყევ ბუნებას. ჩემი მერყევი ბუნება მხოლოდ შეძენასთან დაკავშირებულ არჩევანში გამოიხატება, სხვა დანარჩენ საკითხებში მყარი ვარ და თვითონ ვიღებ ყველა გადაწყვეტილებას. ასტროლოგია მაინტერესებს, თუმცა ჰოროსკოპის კრებული ჩემი სამაგიდო წიგნი არ არის, რადგან არ მინდა ვიცოდე ჩემი არაპოზიტიური დღე. ყველა დღეს, მათ შორის ნეგატიურსაც ისე ვიღებ, როგორც ღმერთის საჩუქარს და ყოველი ღამის გათენება მიხარია. ვცდილობ, დილიდანვე მზის სხივი, სითბო და სიხარული მოვფინო ჩემს დღეს და საკუთარ თავს გავუღიმო სარკეში და დილა მშვიდობისა ვუსურვო, ასევე ოჯახის წევრებს და იმათ, ვისაც ვესალმები. ნახეთ, რა კეთილი ენერგიაა ჩადებული ჩვენს მისალმებაში – „დილა მშვიდობისა“, „გამარჯობა“ (იგივე გამარჯვება), „საღამო მშვიდობისა“ და ა.შ. მისალმება აზრობრივი დატვირთვით კეთილი სურვილის გამოხატვისა და ლოცვის ტოლფასია, ამიტომაც ითვლება უღირს საქციელად სალმის გარეშე უბრად ჩავლა განაწყენებულ ადამიანებთან, ტყუილად როდის არის ნათქვამი – სალამი ღვთისააო. წარმატების მოზიდვაში მეხმარება პოზიტიური აზროვნება და იმედიანი სიტყვა, რომელსაც არ ვაკლებ არც საკუთარ თავს და არც გარშემომყოფებს... და ისეთ ადამიანთა გარემოცვაში ყოფნას ვცდილობ, ვინც სკეპტიკურად არ უყურებს ცხოვრებას და ამჩნევს ნებისმიერი ფაქტისა და მოვლენის დადებით მხარეებსაც და მხოლოდ ცუდსა და საშინელზე არ აკეთებს აქცენტს. ყოველ ადამიანს აქვს შანსი იმისა, ბედნიერი იყოს, რაც არ უნდა მკაცრ და პირქუშ რეალობაშიც არ უნდა მოახვედროს გარემოებებმა, მაინც იპოვის გამოსავალს – რწმენით, იმედით და პოზიტიური აზროვნებით, რასაც მხოლოდ სიკეთე და წარმატებები მოაქვს.

**— როგორ გაქვთ განვითარებული მეექვსე გრძნობა?**

– ჩემი მეექვსე გრძნობა ალემატება კიდეც დანარჩენ ხუთს, უტყუარი ინტუიცია მაქვს, ყოველთვის წინასწარ ვგრძნობ, რაც უნდა მოხდეს, თუ რამე ცუდია მოსალოდნელი, უნებურად, ჩემი სურვილის დამოუკიდებლად ვდგები ცუდ ხასიათზე და მალევე ვიგებ ამბავს, რომლის გამოც ხასიათი შემეცვალა. ასევე, მოულოდნელ სიხარულს ვგრძნობ წინასწარ და ყოვლად უმიზეზოდ ვუღიმი გამვლელ-გამომვლელს. იმხელა სითბოს იტევს გული, მთელ ქვეყანას რომ გასწვდება.

**— ქალბატონო დინარა, ისმენთ სიზმრების ენას, თუ გაღვიძებისთანავე ივიწყებთ იმას, რაც გესიზმრათ?**

– მიმაჩნია, რომ სიზმარი არის მოსალოდნელი ამბის მესიჯი, რომლის წაკითხვაც აუცილებელია. თუ გარდაცვლილი მამა დამესიზმრა, უკვე ვიცი, რომ ჩემს შემოქმედებაში საინტერესო სიახლეა მოსალოდნელი, ან რაღაც ცხოვრებისეული სიკეთე მელოდება. მეტად ყურადსაღებია რამდენიმეჯერ ნანახი ერთი და იგივე შინაარსის სიზმარი, რამდენჯერმე დამესიზმრა ძალიან ახალგაზრდას, ვითომ კბილები დამცვივდა, ეს სიზმარი უახლოეს დროში დედის გარდაცვალებით ამიცხადდა, თუმცა მანამდე არ ვიცოდი, რომ კბილის დაკარგვა ახლობლის სიკვდილის მომასწავებელია, მაგრამ სიზმარშივე მქონდა უსიამოვნო გრძნობები. კარგი სიზმრებიც მიცხადდება, ყოველთვის ყურადსაღებია ჩემთვის ძილის დროს მიღებული ინფორმაცია, რადგან წინასწარმეტყველების ერთადერთი ფორმაა ჩემთვის მისაღები და ეს გახლავთ სიზმარი.

**— ზოგჯერ ბედზე წინასწარმეტყველების სხვა ფორმებისთვის არ მიგიმართავთ?**

– სპირიტიზმით არ დავინტერესებულვარ, რადგან გარდაცვლილთა სამყაროსთან ურთიერთობის ეს ფორმა შიშს უფრო იწვევდა ჩემში, ვიდრე ინტერესს. მკითხავთან, რასაკვირველია, ვყოფილვარ, ახალგაზრდობაში ძალიან მაინტერესებდა ყველაფერი, რაც ჩემს მომავალს უკავშირდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ არ მიცხადდებოდა მკითხავების ნათქვამი, მალე გამიარა ამ გატაცებამ, ამიტომაც ვფიქრობ, რომ სიზმრით მიღებული ინფორმაცია უფრო სანდო მგონია, ვიდრე ვინმეს ნათქვამი, ვისაც ფულს გადავუხდი ჩემი მომავლის ამოცნობაში.




**— ქალბატონო დონარა, ახლახან გამოჩნდით ახალ ქართულ სერიალში „პარადოქსი“, სადაც მთავარ როლს თამაშობთ. თქვენი გმირი მეუღლეს უკრძალავს ვამპირებზე საუბარს, სინამდვილეში თუ გჯერათ ვამპირიზმის და ზოგადად, ენერგოზემოქმედების?**

– რასაკვირველია, არსებობს ენერგოზემოქმედება, ჯადო, გათვალვა და ენერგოვამპირიზმი, ჩემი ინტუიციის წყალობით ყოველთვის ვგრძნობ ენერგოვამპირებს და გავურბივარ მათთან ურთიერთობას, ვცდილობ, არავისთვის გავხდე დონორი, რადგან ენერგოვამპირთა დონორობას უამრავი ზიანის მოტანა შეუძლია ნებისმიერი ადამიანისთვის. ვცდილობ, ჩემი ენერგია სიკეთეს, ოჯახს, მეგობრებს და პროფესიულ საქმეს მოვახმარო. ვამპირთაგან გატაცებული ენერგიის აღდგენა იოლი არ არის.

**— თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი დღე, რასაც სასწაულთა ქრონიკაში განიხილავთ?**

– სანამ კონკრეტულ კითხვაზე გიპასუხებთ, გაგიმხელთ, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბები ჩემთვის ქრისტიანული სასწაულია. ქრისტიანულ სასწაულად მიმაჩნია, რომ შობა დღეს დაიბადა ჩემი მეექვსე შვილიშვილი ლაზარე, რომელიც მინდოდა შობა დღეს დაბადებულიყო. სასწაულია ის, რომ ორმა ქალიშვილმა ექვსი შვილიშვილი მაჩუქა, უდიდეს სიხარულს მგვრის წარსულთან შეხვედრა, საოჯახო ალბომის დათვალიერება, სადაც აღბეჭდილია ის დღეები, როცა ყველაფერი გამორჩეულად მიხაროდა, დღემდე არ გამნელებია სიხარულით მოგვრილი შთაბეჭდილებები, სასწაულია ჩემთვის ყოველი ახალი როლი თეატრსა თუ კინოში და მაინც გამოვარჩევ ერთ დღეს, მაშინ რუსთავის თეატრში ვმუშაობდი, ერთ დღეს ჩემი გოგონები სახლში არ იყვნენ, ამ დროს ჩემი ვაჟი გიორგი 8-9 წლის იქნებოდა და სახლში მარტო იყო. დავურეკე და ვუთხარი, რომ ცოტა დამაგვიანდებოდა და უჩემოდ დაეძინა. ამ დროს უეცრად შუქი ჩამქრალა, გიორგის აუღია სანთელი და საწოლთან აუნთია, ბავშვს ჩაეძინა, სანთელი დაიღვენთა და ცეცხლი ლოგინს გადაედო. გიორგის გამორჩეულად უყვარდა ერთი ღვთისმშობლის ხატი, სწორედ იმ ხატზე აღბეჭდილი ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა, – გიორგი, სასწრაფოდ გაიღვიძე. მისმა ხმამ გააღვიძა ჩემი შვილი მაშინ, როცა ოთახი კვამლში იყო გახვეული და ბალიშსა და საბანს ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული... რომ არა ეს ხმა და ღვთისმშობლის წყალობა, შეიძლება კვამლით გაგუდულიყო ჩემი შვილი, რადგან ისეთი ღრმა ძილი იცის, რომ დიდი დრო მჭირდებოდა მის გასაღვიძებლად. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ვერანაირი ფათერაკი და საფრთხე ვერაფერს დაგვაკლებს, თუკი გვწამს, რომ ღმერთი თავის მფარველობასა და წყალობას არ მოგვაკლებს.

> „რამდენჯერმე დამესიზმრა ძალიან ახალგაზრდას, ვითომ კბილები დამცვივდა, ეს სიზმარი უახლოეს დროში დედის გარდაცვალებით ამიცხადდა“

> „ბავშვს ჩაეძინა, სანთელი დაიღვენთა და ცეცხლი ლოგინს გადაედო... გიორგის გამორჩეულად უყვარდა ერთი ღვთისმშობლის ხატი, სწორედ იმ ხატზე აღბეჭდილი ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა, — სასწრაფოდ გაიღვიძეო“



მოხუცი ქმარი ცოლს:
– რას წერ, დედაკაცო?
– ისეთს არაფერს, შვილებს ვწერ, რომ უკვე კარგად ხარ... ისე, დამეხმარე შენც – რომელი ჯობია, რომ დავწერო: „დაკრძალვა“ თუ „დამარხვა“?

*****

ექვმიტანილის ჩვენება:
– მორიგეობიდან სახლში დილით დავბრუნდი. მივხვდი, რომ ცოლს საყვარელი ჰყავდა. გადავიხედე ფანჯრიდან, დავინახე, გარბის ეს არამზადა! ავიღე და კარადა ვესროლე...
დაზარალებულის ჩვენება:
– როგორც ყოველთვის, იმ დილითაც ვვარჯიშობდი და უცბად თავზე კარადა დამეცა, სიკვდილს ძლივს გადავურჩი...
მოწმის ჩვენება:
– ესე იგი, ვზივარ კარადაში...

*****

– ძვირფასო, როგორ ქალებს ანიჭებ უპირატესობას: ჭკვიანებს თუ ლამაზებს?
– არც ერთს და არც მეორეს! ხომ იცი, მე მხოლოდ შენ მიყვარხარ!

*****

– მესამე დღეა, წვიმს... ცოლს დეპრესია აქვს და დაუსრულებლად ფანჯარაში იყურება... თუ წვიმამ ხვალ არ გადაიღო, იძულებული გავხდები, ცოლი სახლში შემოვუშვა...

*****

ნუდისტურ პლაჟზე:
– გოგონი, მე თქვენ ძალიან მომწონხართ!
– ჰო, ვხედავ...

*****

– თუ ადამიანს ცეცხლს წაუკიდებ, დაიწყებს ყვირილსა და სირბილს... თუ ადამიანს „აიფონ 5“-ს აჩუქებ, დაიწყებს ყვირილსა და სირბილს. ამოცანა გვეკითხება: რატომ დავხარჯოთ ზედმეტი?!

*****



– ბებიკო, შენით მოხვედი?
– კი, შვილო, ჩემით. რატომ მეკითხები?
– რა ვიცი, დედიკომ თქვა, რა ეშმაკმა მოიყვანაო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

საინტერესო ამბები...

## რუსი ახალგაზრდას პიცა... შეუყვარდა და დაქორწინებაც მოისურვა



ადამიანის სიყვარული რთული და დროებითია. აი, საკვების კი სამუდამო. რა უნდა გაგიკეთოს პიცამ ისეთი, რომ შეიძულო და მასზე უარი თქვა? ჰოდა, 22 წლის ახალგაზრდამაც გადაწყვიტა, რომ მეტისმეტად მარტო და უსიყვარულოდ იყო. მის ირგვლივ კი უპრობლემო და ლაღი სიყვარული არავის ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა, მოდი, ისეთ ცოლს შევირთავ, რომ თავისი ერთგულებით ყველა გააკვირვოსო.

– მოულოდნელად მივხვდი, რომ მარტო ვიყავი. ჩემი მეგობრების ნაწილი დარდობს, რომ შეყვარებულთან პრობლემები აქვთ. მეორე ნაწილი კი დარდობს, რომ სიყვარული საერთოდ არ აქვს. ადამიანებს შორის სიყვარული რთული და არამდგრადია, პიცის სიყვარული კი მარადიული. აი, რატომ ავირჩიე პიცა, – ამბობს შეყვარებული გურმანი.

მმაჩის ბიუროში, რა თქმა უნდა, არ მისცეს უჩვეულო ქორწინების ნება. თუმცა წყვილის ბედნიერებისთვის ამას ხელი არ შეუშლია – ქორწინების მოწმობა „პატარძლის“ დამამზადებელმა კომპანიამ გასცა.

უცნობია, ქორწინების შემდეგ „პატარძალმა“ რამდენი ხანი იცოცხლა, მაგრამ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ უგონოდ შეყვარებულმა ქმარმა ცოლი სიყვარულით შთანთქა.

**tomsk.kp.ru**

საინტერესო ამბები...

## უსინათლო მუსლიმანი და ჯუჯა ქრისტიანი — ამბავი, რომელიც ბევრს შეძრავს



ეს ერთ-ერთი ყველაზე დაუჯერებელი ისტორიული ფოტოა, რომელიც 1889 წელს სირიაშია გადაღებული და რომელიც კახა ბალიაშვილის საშუალებით გავრცელდა.

ფოტოზე ასახული არიან უსინათლო მუსლიმანი მუჰამედი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქონდრისკაცი, ქრისტიანი სამირი. ორივეს მთელი ალეპო იცნობდა – სამირი მუჰამედზე იყო დამოკიდებული, ვინაიდან მხოლოდ მისი მეშვეობით შეეძლო ქალაქის ქუჩებში გადაადგილება.

თუმცა, მუჰამედსაც ჰაერივით ესაჭიროებოდა სამირის დახმარება, რადგან სწორედ მისი თვალების მეშვეობით შეეძლო სიარული წინააღმდეგობის გარეშე. ორივე ობოლი იყო და თავიანთი ძალები გააერთიანეს, რომ ამ სასტიკ სამყაროში გადარჩენილიყვნენ.

ლეგენდის თანახმად, როცა სამირი გარდაიცვალა, უსინათლო მუსლიმანი მუჰამედი ისეთი დათრგუნული იყო, რომ ერთ კვირაში თავადაც მიჰყვა ქრისტიან მეგობარს.

სამირსა და მუჰამედს შორის ურთიერთობა ბევრს შეახსენებს, როგორი იყო სირია უახლოეს წარსულში – სახელმწიფო, რომელშიც ყველა ხალხისა და კონფესიისთვის მოიძებნებოდა ადგილი.

რწმენის მიუხედავად, ადამიანები საერთო ენას ყოველთვის პოულობდნენ და ეხმარებოდნენ.

**mediacity.ge**

საინტერესო ამბები...

## სიზარმაცე თანდაყოლილი თვისებააო



მაინც რა კარგი რამ არის მეცნიერება, ყველაფერს გამართლებას მოუძებნის და ალიბის პირდაპირ ხელში მოგართმევს.

ბრიტანელი მეცნიერები გვეუბნებიან, რომ არ უნდა დავადანაშაულოთ ზარმაცი ადამიანები. მათ იმაზე ცუდად აქვთ საქმე, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ზოგს ერთ დღეში ათი დღის საქმის გაკეთება შეუძლია, ზოგი კი ერთი დღის საქმეს ვერ აკეთებს ათ დღეში. ეს იმიტომ, რომ ტვინის ის ნაწილი, რომელიც აქტიურობასა და კოორდინაციაზე აგებს პასუხს სუსტად არის განვითარებული. ეს შესაძლოა იყოს როგორც გენეტიკური, ისე თანდაყოლილი.

რა თქმა უნდა ზარმაც ადამიანებს შეუძლიათ იმუშაონ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენად რთულია მათთვის იმის გაკეთება, რაც სხვებისგან არანაირ ზედმეტ ძალისხმევას არ მოითხოვს. ვილაც შეიძლება საქმის გარეშე ვერ ძლებდეს, ვილაცისთვის კი, ყოველი ახალი საქმე ძალიან მძიმე ტვირთი იყოს.

მშრომელებო, იცხოვრეთ და იმუშავეთ ზარმაცებისთვის. ეს უმაღლესი ჰუმანური პრინციპია, რათა არ მოხდეს მათ ფიზიკურ თუ გონებრივ ძალაზე ზეწოლა, რათა თქვენი ოფლით მაქსიმალურ კომფორტში აცხოვროთ.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები...

## რატომ ჩნდება ქერტლი?



უხერხულობა და სირცხვილი, რომელსაც განიცდის ყველა, ვინც საკუთარ მხრებზე „თოვლს“ ხედავს, არაფერია ორგანიზმის პრობლემებთან შედარებით, რაზეც ქერტლის გაჩენა შეიძლება მიუთითებდეს.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ქერტლი ჩნდება, ქონის ჯირკვლების არასწორი მუშაობაა. თავის მხრივ, ასეთი დარღვევა მაშინ ხდება, როცა ადამიანი პანკრიასის ან ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებს განიცდის. ასევე, პრობლემები აქვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაში.

სპეციალისტები ამბობენ, რომ როგორი შამპუნიც არ უნდა გამოიყენოს ადამიანმა, შესაძლოა, ქერტლისგან თავი მაინც ვერ დაიხსნას. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია ექიმთან მისვლა, თუ არადა, უნდა მოხდეს ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების მიღება ან სამკურნალო შამპუნებით ბანაობა. გარდა ამისა, საჭიროა დე, ა, ე ბე1 და ბე6 ვიტამინები.

**brisknews.ru**

საინტერესო ამბები...

## ტკბილეული ადამიანს აიძულებს, უფრო ხშირად იკვებოს



ტკბილეული დესერტად დაიტოვეთ. ნუ გადაწყვეტთ მისით დანაყრებას, თორემ ვერც დანაყრდებით და მთელ დღეს ჭამას დაუთმობთ.

ჯორჯიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ექსპერიმენტის საშუალებით დაამტკიცეს, რომ ტკბილეული ადამიანს უფრო ხშირად ჭამას აიძულებს, რადგან იგი ტვინზე ახდენს გავლენას.

თურმე, ტკბილეულის მიღების შემდეგ გარკვეული ნეირონები ითიშება, ამის გამო ორგანიზმი მეხსიერებას კარგავს და მუდმივად კვებას მოითხოვს. იქმნება ილუზია, თითქოს ორგანიზმი დაუნაყრებელია და ისევ და ისევ კვება სჭირდება.

ამიტომ არის, რომ ტკბილეულის მოყვარულები მთელი დღის განმავლობაში მიირთმევენ დესერტებს.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები...

## პროფესიები, რომლებიც ოჯახებს ანგრევს — ფრთხილად შეარჩიეთ პარტნიორი



განქორწინების რისკი თურმე შეიძლება გამოითვალოს, ასე ამტკიცებენ ბრიტანელი მკვლევარები.

ყველაზე არასაიმედო პარტნიორები ოჯახურ ცხოვრებაში ისინი არიან, რომლებსაც, სამსახურის ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა ადამიანებთან ხშირი კონტაქტები უწევთ. სხვებზე მზრუნველი პროფესიების წარმომადგენლები ბევრ ძალასა და ენერგიას ხარჯავენ სხვებზე და ამით ოჯახურ ურთიერთობებს აზარალებენ.

ფსიქოლოგებმა დათვალეს, რომ განქორწინების ყველაზე დიდი ალბათობა (40 პროცენტზე მეტი) ბალერინებს, მასაჟისტებსა და ბარმენებს შორის არის. რისკის ანალოგიურ ჯგუფში ხვდებიან, ასევე, მედდები და ფსიქიატრები. სულ 20-პროცენტიანი რისკი აქვთ მდივნებს, მზარეულებსა და მათემატიკოსებს. კიდევ უფრო ნაკლები, 16 პროცენტი – მასწავლებლებს, მეხანძრეებსა და მწერლებს. 12-პროცენტიან ნიშნულზე არიან სასამართლო ორგანოებისა და სარიტუალო კანტორების თანამშრომლები. დანტისტები, ორთოპედები და ღვთისმსახურნი კი სამსახურის გამო ოჯახით ყველაზე ნაკლებად რისკავენ.

**etanews.ge**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## რა გავლენას ახდენს სმარტფონი სექსუალურ ცხოვრებაზე?



ვის რაში სჭირდება ტექნოლოგიური წინსვლა, თუ ის ადამიანურ ურთიერთობებს ჩაანაცვლებს? ჰოლანდიელმა ექსპერტებმა კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 3 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. გამოკითხულთა 60 პროცენტი ჩივის, რომ სმარტფონისა და პლანშეტის გადამკიდე სულ უფრო იშვიათად აქვს პარტნიორთან სექსუალური ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ სმარტფონის მფლობელთა უმრავლესობა ღამით სექსუალურ საქმიანობის ნაცვლად, მობილურში ქექვით არის დაკავებული. გასულ საუკუნეში კი, მსგავსი პრობლემა ტელევიზორთან დაკავშირებით შეიქმნა. ექსპერტების თქმით, ადამიანს შეგრძნება აქვს, რომ მის ცხოვრებას მოწყობილობა მართავს, სინამდვილეში პირიქით არის, ადამიანს შეუძლია, მოწყობილობა მართოს და ღამით, ძილის დროს მაინც უარი თქვას. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს ნებაყოფლობითია, ვიღაცას სმარტფონი ურჩევნია.

ამერიკელი მეცნიერები უფრო ოპტიმისტური კუთხით უყურებენ ამ პრობლემას და ასეთ რჩევას იძლევიან – სმარტფონს შეუძლია, უფრო გააძლიეროს ურთიერთობა, თუნდაც გვერდიგვერდ წოლისას მისწერეთ ერთმანეთს ეროტიკული ხასიათის მესიჯები, ორივე მხარე კმაყოფილი იქნება, ხოლო სმარტფონის უადგილობა ნაკლებშესამჩნევი გახდება.

*correspondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა შეიძლება გითხრათ თქვენმა პულსმა?



ორგანიზმში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ადრეული ხანიდან ადამიანები ცდილობდნენ პულსსა და ჯანმრთელობას შორის კავშირის დადგენას. პულსით შესაძლებელია არა მხოლოდ ორგანიზმის მუშაობის, არამედ ხასიათის დეტალების გარკვევაც. ასევე, ფეხმძიმე ქალს შეუძლია ბავშვის სქესის ამოცნობა.

– თუ თქვენი პულსის სიხშირე წუთში 45-ზე ნაკლებია, მაშინ გულთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ და სასწრაფოდ უნდა მიმართოთ კარდიოლოგს, რათა თავიდან აიცილოთ ინფარქტი;

– თუ თქვენი პულსი წუთში 59-46 შორის მერყეობს, მაშინ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის საფრთხის ქვეშ ხართ და ენდოკრინოლოგს უნდა მიმართოთ;

– თუ პულსის სიხშირე 80-ზე მეტია, მაშინ ჰიპერტონიულ დაავადებებთან, ან პირიქით, ძალიან დაბალ წნევასთან გაქვთ საქმე;

– როცა გულის კუნთები შეკუმშვის მაღალი სიხშირით გამოირჩევა, მაგალითად, 105 დარტყმა წუთში, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გააქტიურება ხდება, ამ დროს ენდოკრინოლოგის კონსულტაციაა საჭირო. გულისცემის გახშირება შეიძლება ბრონქული ასთმის ან ქრონიკული ბრონქიტის, სისხლში ჰემოგლობინის დონის დაცემის და ასევე, ჰიპოგლიკემიის დროს მოხდეს;

– ორგანიზმის ტემპერატურის მატებასთან ერთად პულსის სიხშირეც იმატებს, ყოველ მომატებულ გრადუსზე პულსი 10-ით იზრდება და ეს ნორმალურია. ასე რომ, მაღალი სიცხის დროს აჩქარებული პულსაციის არ შეგეშინდეთ;

– თუ პულსი არათანაბარია, პერიოდულად ვარდება და მოულოდნელად მაღალ ნახტომებს აკეთებს, ანემიასა და დაბალ წნევაზე მეტყველებს. ფეხმძიმეებს, თუ ისინი ბიჭს ელოდებიან, მარჯვენა ხელზე აქვთ უფრო ძლიერი პულსაცია, ხოლო თუ გოგონას დედობისთვის ემზადებიან – მარცხენაზე;

– ყველაფერს თავისი წესი აქვს, მათ შორის პულსის გაზომვასაც – უმჯობესია, დამჯდარმა გაიზომოთ (თუ ფეხზე დგახართ, უფრო მაღალია, თუ წევხართ – უფრო დაბალი). უზუსტობა რომ თავიდან აიცილოთ, ნუ გაიზომავთ ახალნასადილევზე, მძიმე ფიზიკური ან გონებრივი შრომის შემდეგ, მასაჟის, შხაპის, სექსისა და ანტიდეპრესანტების მიღების შემდეგ;

– პულსზე ადამიანის ტემპერამენტიც ახდენს გავლენას. მიიჩნევა, რომ ქოლერიკებისთვის 76-83 სიხშირის პულსი ნორმალურია, სანგვინიკებისთვის – 68-75, ფლეგმატიკებისთვის – 67 და ნაკლები სიხშირეა მისაღები, მელანქოლიკებისთვის კი 83 სიხშირის პულსი ნორმალურია;

*mainfun.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## პენსიონერებმა პოლიცია საჭორაოდ გამოიძახეს



დიდი ბრიტანეთის ქალაქ მიდლტონის პოლიციაში უცნაური ზარი დაფიქსირდა. პენსიონერი წყვილი ჩიოდა, რომ მარტოსულად გრძნობდნენ თავს და ვინმესთან კონტაქტი სჭირდებოდათ.

პოლიციელებმაც არ დააყოვნეს და მოხუცებს ჩაის დასალევად ესტუმრნენ. ნახევარი საათი დარჩნენ, ისაუბრეს, ამ მთისა და იმ ბარის ამბები მოყვნენ და კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. კითხვაზე აქვს თუ არა პოლიციის თანამშრომელს სამუშაო დროის ჭიქა ჩაიზე ხარჯვის უფლება, ერთ-ერთი თანამშრომელი, ენდი რიჩარდსონი ასე პასუხობს: „პოლიციელების მოვალეობა მხოლოდ დამნაშავეების დევნა არ არის. ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთ ხალხს ყველანაირად, როგორც შევძლებთ“. ბედნიერი პენსიონერი კი აღნიშნავს, რომ სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ სულერთი არ ხარ და ვიღაც ზრუნავს შენზე.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## კითხვა ტვინს ნაადრევი დაბერებისგან იცავს



ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრაზე, მეცნიერებმა დეტალურად განმარტეს, რატომ საჭიროებს ადამიანის თავის ტვინი მუდმივ ინტელექტუალურ საქმიანობას.

მათი თქმით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ტვინის თეთრ ნივთიერებას ხანგრძლივად შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობა.

რაშის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) სპეციალისტებმა მოხუცებულების ტვინში თეთრ ნივთიერებასა და მათ ინტელექტუალურ აქტიურობას შორის მჭიდრო კავშირი აღმოაჩინეს.

ექსპერიმენტებში მათ დაადგინეს, რომ ტვინის აღნიშნული ნივთიერების სიმკვრივე და ჯანმრთელობა ბევრად მაღალია იმ ადამიანებში, რომელთა ტვინიც მუდმივად აქტიურად მუშაობს. კვლევაში 152 მოხალისე იყო ჩართული, საშუალო ასაკით – 80 წელი.

არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მეხსიერების ან ყურადღების გაფანტვა. 12 თვის მანძილზე მოხალისეთა ტვინს სპექტრალური ტომოგრაფით სკანირება უტარდებოდა.

საბოლოო ჯამში, ექსპერიმენტის ავტორებმა დაასკვნეს, რომ თავის ტვინის დაბერებისგან გადარჩენა სავსებით შესაძლებელია კითხვით, წერილების წერით, ჭადრაკის თამაშით და მოკლედ, ყველაფრით, რაც ინტელექტუალურ მუშაობას უკავშირდება.

*best-strotelstvo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ყველაზე მნიშვნელოვანი, რითიც ადამიანი და შიმპანზე განსხვავდებიან...



ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანისა და შიმპანზეს ტვინებს შორის ახალი სხვაობა აღმოაჩინეს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რითიც ადამიანი და შიმპანზე განსხვავდებიან, ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირების გზებია. ადამიანის ტვინი გარემოს ზემოქმედების შედეგად ყალიბდება, შიმპანზეს კი მემკვიდრეობით გადაეცემა გარკვეული შესაძლებლობების მქონე ტვინი.

„ადამიანის ტვინი გარემოპირობებისადმი უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა. სწორედ ეს აძლევს ტვინს რეალობის შეცვლისა და კულტურული რევოლუციების დაჩქარების უნარს“, – აღნიშნა კვლევის ავტორმა, აიდა გომეს-რობლესმა.

ექსპერიმენტისთვის მაიმუნის 206 და ადამიანის 217 ტვინის ნიმუში დაამუშავეს. უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ესპანეთში ადამიანისა და მაიმუნის საერთო წინაპრის ნაკვალევი აღმოაჩინეს. როგორც არ უნდა იყოს, სასიამოვნოა, რომ მაიმუნებად, ან მის მსგავს არსებად არ დავრჩით და განვვითარდით.

*correspondent.net*



სომხურ რადიოს ჰკითხეს:

– მართალია, რომ ერევნელმა აშოტ აკოფიანმა ლატარიაში მანქანა მოიგო?

სომხურმა რადიომ უპასუხა:

– დიახ, მართალია! უბრალოდ, არა აშოტ აკოფიანმა, არამედ ტიგრან გევორქიანმა, ოღონდ არა ერევნიდან, არამედ ლენინაკანიდან, მაგრამ არა მანქანა, არამედ ფული, თანაც არა ლატარიაში, არამედ ბანქოში და მოიგო კი არა, წააგო!..

*****

– როცა პატარა ვიყავი, ვოცნებობდი, რომ ერთხელაც მშვენიერი პრინცი მომიტაცებდა... ახლა ამაზე ჩემი ქმარი ოცნებობს...

*****

– 30 მილიონი რომ გაჩუქონ, რას იზამდი?

– რას ვიზამდი და გამოვყ...ევდებოდი...

*****

შვილი მამას:

– აბა, მამიკო, გამოცანას გეტყვი და თუ მიხვდები: ბახ-ბუხ, მიაუ-მიაუ...

– კატას მანქანა დაეჯახა?

– მართალია! აბა, კიდევ: ბახ-ბუხ, ღრრრ-ღრრრ...

– მანქანა ახლა ძაღლს დაეჯახა.

– არა, დედა დაბრუნდა სამსახურიდან!

*****

ალქაჯმა ახალგაზრდა და მომხიბვლელი ყმაწვილი მოიტაცა:

– გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცნობ, ჩემთან უნდა დაწვე, თუ ვერ გამოიცნობ – მოგკლავ, დაგანაკუწებ და შეგჭამ!..

– კარგი, მითხარი, – ამოიოხრა ყმაწვილმა.

– მწვანეა, ჭაობებში ცხოვრობს, ყიყინებს, „ბა“-ზე იწყება და „ყაყ“-ზე მთავრდება.

– კენგურუ!

– ყოჩაღ, ცუნცულ, გამოიცანი!..

*****



ნონას ყოველთვის ეშლებოდა ერთმანეთში ჩასახვის საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი აბები...

ახლა მას 15 შვილი ჰყავს და სულ ფეხებზე ჰკიდია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*



გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე ლია ტატიშვილი, შვილები თინათინ, დავით, გიორგი, შვილიშვილები მიშო, ელენე, ანასტასია, ძმა თემური, რძალი ნინო ძაგნიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ვლადიმერ (ვოვა) გიორგის ძე ქარსელაძე

**პანაშვიდი:** 24 და 25 ნოემბერს;
**მისამართი:** იაკობ ნიკოლაძის I ჩიხი №4 (ფიქრის გორა);
**გამოსვენება:** 26 ნოემბერს, 14 საათზე, წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიიდან (ვერის სასაფლაო).

უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ვოვა ქარსელაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე მზექალა გამყრელიძე, შვილები ნინო, ლექსო ბატიაშვილები, რძალი ეკა ღოღობერიძე, შვილიშვილები ანდრო, გიორგი გოგიჩაიშვილები, გიორგი, ნიკა ბატიაშვილები, ძმა თამაზ ბატიაშვილი, რძალი თინა მალუძე, ძმისშვილები თათო, ეკა ბატიაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მძახალი ოლია უგრეხელიძე იუწყებიან

## გოგი ალექსის ძე ბატიაშვილის

გარდაცვალებას

**პანაშვიდი:** 22, 23 ნოემბერს; **დაკრძალვა:** 24 ნოემბერს, 14 საათზე; **მისამართი:** მიცკევიჩის ქ. №23, მე-3 სადარბაზო, მე-3 სართული.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას


## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

*555 125 770; 596 777 773*



## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოებით მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრისა და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.
ირმა სიხარულიძეს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
თბილისი, ფოთის ქ. №2 (მეტრო „წერეთელთან“)

551 508 907; 557 358 900


## „ოცნების“ ბოლო მატარებელი




## ინტერნეტის ფოტოკოლაჟი

## ქ ი ლ ი ქ ი ა



– რა იყო, კოტე, რამ გაგამხიარულა ასე?
– რამ და სიდედრი გავაცილე, მატარებელში ჩავსვი და გავუშვი, როგორც იქნა!
– და ცხვირ-პირი რატომ გაქვს ასეთი დასვრილი?
– ლიანდაგებს ვკოცნიდი, კაცო, ლიანდაგებს!!!

*****

კოტე მეზობლის კარზე აკაკუნებს:
– უკვე ღამის 3 საათია, არ შეიძლება, მუსიკას ცოტა ჩაუწიოთ?!
– კაცო, წუხელ რომ ისე ხმაურობდით სექსის დროს შენ და შენი მეუღლე, ვთქვი რამე?
– მე წუხელ სახლში არ ვყო... უხ, შენი დედა კი...

*****

კომპიუტერი ვირუსებისგან რომ დაეცვა, სვანმა ეკრანზე ნიორი ჩამოკიდა...

*****

– რა გჭირს, კოტე, თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?
– შვილმა დამარტყა...
– რატომ, კაცო?!
– დედა შევაგინე და...
– აბა, გადარჩენილი ხარ – კიდევ კარგი, ფაქტზე არ წაგასწრო!

*****

ცოლი მურტალ „პახმელიაზეა“ და ქმარს ეკითხება:
– რას აკეთებ ხოლმე, როცა დალევის მერე დილაობით თავი გტკივა?
– შენს წყევლა-კრულვასა და წუწუნს ვუსმენ...

*****

დაქალები ჭორაობენ:
– ჩემი ქმარი ან მხოლოდ დღესასწაულებზე სვამს ან როცა აბანოში მიდის.
– ბედნიერი ქალი ყოფილხარ!..
ამასობაში ქმარი დაბრუნდა:
– საყვარელო, დღეს რამე დღესასწაულია არის?
– არა...
– მაშინ აბანოში წავედი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*


სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
ქრონიკა
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი


**გაზეთ „კვირის ქრონიკაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**


ISSN 2298-0016
9 772298 001007
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45